18 - 24 თებერვალი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

ახალი განათლება

№7 (721) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

გვერდი 3

ძველ სქემაში ჩართული 5 266 მასწავლებელი შეფასდა

2011-14 წლებში მოქმედი პროფესიული განვითარების სქემის შეფასების აპელაციის პროცესი დასრულდა. განმეორებით შეფასების მსურველი მასწავლებლების მიერ სააპელაციოდ სულ 1226 განცხადება შევიდა. აპელაციის პროცესის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის მიმართულებით, წარმატებულად შეფასებული მასწავლებლების რაოდენობა 9%-ით გაიზარდა. სასწავლო რესურსების შექმნის მიმართულებით, შედეგები 7%-ით გაუმჯობესდა, ასევე 7%-ით გაიზარდა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიმართულებით წარმატებულად შეფასებული მასწავლებლების რაოდენობა. მთლიანობაში, ძველ სქემაში ჩართული, შეფასების მსურველი 5266 მასწავლებლიდან, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის მიმართულებით, 70%-მა მიაღწია წარმატებას; სასწავლო რესურსების შექმნის მიმართულებით, წარმატებულია მთლიანი რაოდენობის 39%, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიმართულებით – 55%. შეფასებულთა 28%-მა კი მიიღო 6 კრედიტი. სულ წარმატებით შეფასდა მასწავლებლების 81% – 4 247.

შეფასების შედეგებით, მასწავლებელთა ნაწილი უკმაყოფილო დარჩა. რა პრობლემები გამოიკვეთა შეფასებისას და რამ გამოიწვია მათი უკმაყოფილება – გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მართვის პროგრამის მენეჯერი კახა ულენტი.

ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძლევის მსურველთა რეგისტრაცია ცხადდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების პროგრამის დაძლევის მსურველთა რეგისტრაციას **2016 წლის 17 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით.**

გამოცდები ჩატარდება **2016 წლის 9 მარტიდან 25 მარტის** ჩათვლით. რეგისტრაციის უფლება აქვთ პირებს, რომელთა ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს, თუ მათ დაძლეული აქვთ წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა.

სრულწლოვანი დაინტერესებული პირი ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ექსტერნად რეგისტრაციის თაობაზე განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია წარადგინოს რესურსცენტრში.

ა) ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველი პირი, თუ სწავლობს სკოლაში, მან განაცხადი უნდა წარადგინოს იმ რესურსცენტრში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს შესაბამისი სკოლა;

ბ) თუ პირი არ სწავლობს სკოლაში, განცხადების წარდგენა ხდება ნებისმიერ რესურსცენტრში, პირის სურვილის შესაბამისად.

პირი, რომელიც ექსტერნატის ფორმით წარმატებით დაძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონეს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, ვალდებულია წარმატებით ჩააბაროს სკოლის გამოსაშვები გამოცდები.



გვერდი 2

STEM დარგების განვითარება

14 -მილიონიანი პროექტი მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარებისთვის

გვერდი 6

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

შესწორება აბიტურიენტთა ცნობარში

ქვემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა არის უფასო, ნაცვლად ცნობარის ბეჭდურ ვერსიაში მითითებული საფასურისა. გაზეთ „ახალი განათლებისათვის“ მიწოდებულ ინფორმაციაში გაიპარა უზუსტობა:

- ა(ა)იპ. - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი (177)
- საქართველოს საპატრიარქოს გრემის სასულიერო სემინარია (173)
- ა(ა)იპ. - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია (ქ. ქუთაისი) (174)
- თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია (175)
- ა(ა)იპ. წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია (ცაგერი) (176)
- ა(ა)იპ. წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის გათუმის სასულიერო სემინარია (ქ. გათუმი) (184)
- საქართველოს საპატრიარქოს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია. ახალციხის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახ. სასულიერო სემინარია (ახალციხე) (194)

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის ბიზნესის სკოლა აცხადებს კონკურსს პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (4 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (4 ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგ დისციპლინებში:

- ეკონომეტრიკა (Time Series and Cross-sectional econometrics);
- ბიჰევიორული (ქცევითი) ფინანსები (Behavioral Finance);
- თანამედროვე საკითხები ემპირიულ ფინანსებში (Current Issues in Empirical Finance);
- ფინანსური მოდელირება (Financial Modeling);
- ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (Qualitative and quantitative research methods);
- აკადემიური წერა (Academic writing);
- მსოფლიო ეკონომიკა: პრობლემები და შესაძლებლობები (World Economy: Problems and Prospects);
- ორგანიზაციული ქცევა (Organizational Behavior);
- ლიდერობა (Leadership);
- ოპერაციების მართვა (Operations Management);
- ანტრეპრენიორობა (Entrepreneurship);
- ინოვაციების მართვა (Innovation Management).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის

• დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

• კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
• CV-რეზიუმე;
• პირადობის მოწმობის ასლი;
• კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge.

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

საბუთების მიღება: 2016 წლის 18 მარტიდან – 18 აპრილის ჩათვლით.

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

შოთა რუსთაველის წელი და კონკურსი „ვკითხულობთ რუსთაველს“

2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. მე რომ მკითხონ, ქართველებისთვის ყოველი წელი რუსთაველს უკავშირდება, რადგან მისეული სიბრძნე თანამდევია თითოეული დღისა თუ ხანისა. წელს პროექტი „ვკითხულობთ რუსთაველს“ 15-წლიან საქმიანობას აჯამებს და, ამავდროულად, ტრადიციულად, ახალ-ახალ „სარკმელს“ ხსნის გენიალური ქმნილების შესამეცნებლად. პროექტი ხორციელდება საქართველოს მასშტაბით და საზღვრებს მიღმა საგანმანათლებლო სივრცეში (სომხეთი, აზერბაიჯანი, იმერხევი, თურქეთი). დებულების ძირითადი პირობა შენარჩუნებულია, თუმცა გარკვეულ დამატებებსაც გულისხმობს. პროექტში კონკურსანტთა ასაკი შეუზღუდავია: საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, კერძო სკოლების და კოლეჯის აღსაზრდელები. ამჯერად, კონკურსში მონაწილეთა ასაკი სკოლამდელ ეტაპსაც ითვალისწინებს, კერძოდ, ბაგა-ბაღის დამამთავრებელი საფეხურის აღსაზრდელები, ვინაიდან შოთასეული ბრძნული შეგონებები, აფორიზმები, ხატოვანი თქმები სწორედაც რომ სიყმაწვილის დროიდანაა გულისა და ყურისათვის მოსასმენი, მეტყველების განსავითარებლად თუ ლექსიკის გასაღრმავებლად, არც ნორჩ მხატვრებსა თუ ხელმარჯვეებს გაუჭირდებათ აღქმული ეპიზოდის ნახატსა თუ ნამუშევარში გადატანა (ქარგვა, ძერწვა, გაფორმება).

ა) კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ, 3-5 წუთის ფარგლებში, სასურველ ენაზე (ქართული, ინგლისური, ფრანგული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული) წარმოადგინონ შერჩეული ეპიზოდი, ინსცენირება, პოემისადმი დამოკიდებულება ესსეს, ჩანახატის, პოეტური ნამუშევრის სახით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მხატვრული კითხვის ხელოვნებას, ბგერათა სწორად და გარკვევით გამოთქმას, სამსახიობო უნარ-ჩვევებს, რიტმიკას, პლასტიკას.

ბ) თავისუფალი თემა:

⇨ „ორი სამყაროს – აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანხვედრა პოემაში“;

⇨ „იერარქიის ესთეტიკა და ადამიანის როლი სამყაროში“;

⇨ „რწმენა და სიყვარული – ერის გადარჩენის პირობა“;

⇨ „ქართული საჭურჭლენი – ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტები – ფულის ერთეულები გუშინ და დღეს“.

როგორც ყოველთვის, პროექტი წელსაც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების მიერაა ორგანიზებული. კონკურსის სამივე ეტაპი წარიმართება თბილისის **№24 საჯარო სკოლისა** და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაფუძნებულ რუსთაველის კლუბის ჩართულობით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაციით: სკოლის იურიდიული მისამართი, კონკურსში ჩართულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა სია, საკონტაქტო ნომერი, ინფორმაცია არჩეული ნომინალისა და შერჩეული დავალების მითითებით. განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 26 თებერვალი;

I ტური – მონაწილეთა შერჩევა – 15 მარტი;
II ტური – მოსმენა-დათვალიერება – 15 აპრილი;
III ტური – დაჯილდოება – 14 მაისი.

განაცხადის ელექტრონული ვერსია გადმოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:
barisashvilitamar@gmail.com;
vkitxulobtrustavels@gmail.com
ან პირადად მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბაქოს ქ №1, №24 საჯარო სკოლა

საკონტაქტო პირი, პროექტის ხელმძღვანელი
თამარ ბარისაშვილი, ტელ. 577 24 77 67
პროექტის საინფორმაციო მენეჯერი
ლიდია ბიჭიაშვილი

ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძლევის მსურველთა რეგისტრაცია

პირველი გვერდიდან

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მიზნით რესურსცენტრს უნდა წარედგინოს:

ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებაზე სრულწლოვანი დაინტერესებული პირის ან არასრულწლოვანი დაინტერესებული პირის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც მიეთითება:

ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი);

ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგანი/საგნები, რომელთა ექსტერნატის ფორმით დაძლევა სურს პირს;

ენა, რომელზეც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს სურს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური);

უცხო ენა/ენები, რომელშიც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს უნდა ჩაუტარდეს ექსტერნატის გამოცდა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი საგანი/საგნები, რომლის ჩაბარებაც სურს ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების დაძლევის მსურველს;

ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ ზოგადი განათლების იმ კლასის/სემესტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ათვისებას, რომელიც წინ უსწრებს ექსტერნატის ფორმით დასაძლევ კლასს/სემესტრს. იმ შემთხვევაში, თუ პირმა განათლება საზღვარგარეთ მიიღო, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სკოლის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ პირმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა უნდა დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ტესტირების გზით და მას ატარებს ის სკოლა, რომელშიც სწავლობს მოსწავლე ან პირს სურს, რომ გააგრძელოს სწავლა.

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა **ჩატარდება ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით 21 მარტიდან 25 მარტის ჩათვლით.**

ამასთან გაცნობებთ, რომ პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაიცემა.

პროფესიული განვითარება

ძველ სქემაში ჩართული 5 266 მასწავლებელი შეფასდა

– ბატონო კახა, 2011-2014 წლების სქემაში ჩართული 5266 პედაგოგი შეაფასეთ, დასრულდა აპელაციის პროცესიც, მასწავლებელთა ნაწილი უკმაყოფილოა და გარკვეულ პრობლემებზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, სად იყო ყველაზე მეტი სირთულე და ხარვეზი?

– ძველ სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასების პროცესი, ახალ სქემასთან მიმართებაში, ძალიან საინტერესო იყო, როგორც ფოკუსჯგუფი, რომლის საფუძველზეც უნდა განვსაზღვროთ ის მოლოდინები, როცა აბსოლუტურად ღია და გახსნილი პროცესებით დაიწყება 2080 სკოლის შეფასება სკოლის ბაზაზე – ეს იქნება ცოცხალი გაკვეთილები, პროექტები და სხვა უამრავი აქტივობები – რეალური სასწავლო პროცესი და არა სასერტიფიკაციო გამოცდა. ამჯერად, მხოლოდ დოკუმენტაციით ვამოწმებდით, რასაც მომავალში გაკვეთილზე დაკვირვებაც დაემატება. 81%, 4 ათასზე მეტი მასწავლებელი, ერთი ან უფრო მეტი კრედიტით შეფასდა. ჩვენთვის ეს ერთმნიშვნელოვნად დადებითი პროცესია, თუმცა მესმის, რომ უმეტესობას მაქსიმალური – 6 კრედიტის მოპოვება სურდა. სხვათა შორის, ჩემი თვალთახედვით, გაცილებით უკეთესი შედეგია, ვიდრე ველოდი, ზოგადად, ამდენმა ადამიანმა წარმოადგინა თავისი პოზიტიური ნაშრომი და შრომის შედეგი.

მიმართულებების მიხედვით, შედეგები ასეთია: **სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა** – როგორ ატარებს მასწავლებელი ინტეგრირებულ გაკვეთილს და რა პროექტებში ამუშავებს ბავშვებს – მასწავლებლების 70%-მა სამი კრედიტი მიიღო, თითქმის 3 ათასზე მეტი კარგი ინტეგრირებული გაკვეთილი ვნახეთ. ამ შეფასებაში უმეტესობა იყო ინტეგრირებული გაკვეთილები, ნაკლები – პროექტები. სხვათა შორის, ასეთი შემთხვევებიც იყო, როცა მასწავლებლებს ჩვეულებრივი გაკვეთილები ჰქონდათ გადმოგზავნილი და მაინც გაგვინაწყენდნენ, რომ არ შევუფასეთ. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც წავაწყდით, სწორედ დოკუმენტაციის არწაკითხვაა. მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგისგან იმის მოსმენა, რომ: „არ ვიცოდი“, „მე ასე მითხრეს“, „სხვანაირად მეგონა“, ჩემი აზრით, საწყენია და არასერიოზული. მათ საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ იმისთვის, რომ ყველაფერს გულდასმით გასცნობოდნენ. მოვუმზადეთ დოკუმენტაცია, დავადგინეთ კრიტერიუმები, შევადგინეთ დამხმარე კითხვები იმისათვის, რომ უფრო გამარტივებოდათ მუშაობის პროცესი, ამის შემდეგ, არგუმენტად ისევ იმის მოტანა, რომ „არ ვიცოდი“, იმიტომ რომ „არ მითხრეს“, უხერხულია.

მეორე მიმართლება **სასწავლო რესურსის შექმნა და გამოყენებაა**. მცირე იყო მეთოდური სტატიებისა და სახელმძღვანელოების რაოდენობა, რადგან ბევრ მასწავლებელს არ ჰქონდა. წარმოდგენილიდან კი, ძირითადად, ყველა აკმაყოფილებდა სტანდარტს. ამას ადასტურებდნენ ის რედაქციები, სადაც მასწავლებლების ნაშრომები ქვეყნდებოდა.

ამავე მიმართულებას ეკუთვნის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ან მათი დახმარებით სხვა ტიპის თანამედროვე რესურსის შექმნა, რომ გაკვეთილი უფრო ინტერაქტიული (ეს კრიტერიუმი ძალიან მნიშვნელოვანია) გახდეს. კრიტერიუმებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ აქცენტი გადატანილი იყო იმაზე, რომ სასწავლო რესურსი რაც შეიძლება ინტერაქტიული ყოფილიყო. მასწავლებელს, თავის რეფლექსიაში, უნდა დაესაბუთებინა, იძლევა თუ არა რესურსი იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი უფრო მეტად ინტერაქტიული გახდეს. იმავდროულად, უნდა ეჩვენებინა, როგორ ჩართო ბავშვი სასწავლო პროცესში და როგორ გახადა ის, ამ რესურსის დახმარებით, უფრო მოტივირებული და აქტიური. რაც უფრო მეტად იყო გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები, შეფასების ქულა უფრო იწევდა. ვიცით, რომ უამრავ სკოლაში ამ ტიპის რესურსებზე, ზოგჯერ ინტერნეტზეც კი, წვდომა არ არის, ამიტომ ზღვარი გადიოდა იმაზე, თუ რამდენად აქტიურს ხდის მოსწავლეს სასწავლო პროცესში გამოყენებული ესა თუ ის რესურსი. ამ მიმართულებით დადებითი შეფასება 40%-ია. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ნაკლებ წარმატებას მასწავლებელმა სწორედ რესურსის მიმართულებით მიაღწია. თუმცა, ვფიქრობ, ეს შედეგი ადეკვატურია, თუ გავითვალისწინებთ იმ შემთხვევებს, რასაც ადგილი ჰქონდა დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით. მასწავლებლებისთვის ყველაზე რთული ელექტრონულ ფორმატში დოკუმენტაციის მომზადება, ატვირთვა და განთავსება აღმოჩნდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ სულ სამი მიმართულება იყო შესაფასებელი, შესაბამისად დოკუმენტაცია, ამ მიმართულებების მიხედვით, სამ ფოლდერში უნდა მოეთავსებინათ: „სასწავლო პროცესი“, „რესურსი“ და „პროფესიული განვითარება“. საწუხაროდ, გამსწორებლები მთელ რიგ დოკუმენტაციას ვერ პოულობდნენ, შესაბამისად ვერც გაასწორეს, რადგან ფოლდერები ხან ცარიელი იყო, ხან სულ სხვა მასალა იყო ატვირთული, მაგ., სკოლის განრიგის ცხრილები და ა.შ.

გამსწორებლებმა დოკუმენტაციის ნაწილი ვერ გაასწორეს, ფოლდერები ცარიელი იყო, რადგან eSchool-ზე წვდომა არ ჰქონდათ. სააპელაციო კომისიამ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა და მასწავლებლებს გაწეული შრომა რომ არ დაკარგოდათ, დავიწყეთ დოკუმენტაციის ძებნა (საბოლოო შედეგებმა ამის გამოც ცოტა დააგვიანა). მაგალითად, მასწავლებელი, იმის ნაცვლად, რომ წარმოდგენილი რესურსი ატვირთოს, ისე როგორც ეს მითითებულია eSchool-ის პროგრამაში, ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსიაში წერს, რომ მის მიერ შექმნილი რესურსი შეგვიძლია ვიხილოთ რომელიღაც ბლოგზე. მაქსიმალურად ვეცადეთ, ეს ყველაფერი მოგვეძებნა და არც ერთი აქტივობა შეუფასებელი არ დარჩენილიყო, რის გამო ორჯერ მოგვიწია შეფასების პროცესის გადადება-შეფერხება. თუკი მასწავლებელი საბოლოო დასკვნებს არ დაეთანხმება, შეუძლია სასამართლოშიც კი გაასაჩივროს. ჩვენგან წერილობით დასკვნას ყველა მასწავლებელი ოფიციალურად მიიღებს.

ასეთ უცნაურობებსაც კი წავაწყდით, მაგალითად, მასწავლებელი ატვირთავდა რაღაცას და მერე eSchool-ზე ეს ყველაფერი ქრებოდა. ასეთ შემთხვევებს Emis-თან ვამოწმებდით, რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა კიდეც – სკოლაში ისტ მენეჯერმა მართლაც ატვირთა დოკუმენტაცია და რამდენიმე საათის შემდეგ ან მეორე დღეს გაქრა. ტექნოლოგიებთან ურთიერთობის პრობლემა მართლაც არსებობს, რა თქმა უნდა, უმჯობესია, მასწავლებელმა თავად შეძლოს ინფორმაციის ატვირთვა, რათა დარწმუნდეს მის სისწორეში, ხშირად გადაამოწმოს ელექტრონული ფოსტა და ა.შ. ამის გათვალისწინება სამომავლოდაც ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოიდგინეთ, რა ვითარება შეიქმნება, როცა 2080 სკოლაში დაიწყება პროცესი. eSchool – ეს ჩვენი სისტემის ერთ-ერთი მიღწევაა, სადაც აბსოლუტურად გამჭვირვალედ დევს ყველა ინფორმაცია მასწავლებლის შესახებ და შეფასებაც სწორედ მას უნდა დაეყრდნოს. ასე რომ, მასწავლებელმაც აუცილებლად უნდა ისწავლოს მასთან ურთიერთობა.

გვქონდა ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩვენ თვითონ ვხვდებოდით, სად რა შეცდომა ჰქონდა დაშვებული მასწავლებელს. მაგალითად, რომელიმე მიმართულებაში აღმოვაჩენდით, დოკუმენტის ნაცვლად, ატვირთულ ექსელის ცხრილს, სკოლის განრიგს ან სხვ. ვხვდებოდით, რომ აიტიმენეჯერმა ეს, უბრალოდ, შეცდომით ატვირთა. თავისთავად, როცა შეფასების პროცესი უფრო და უფრო მოიკიდებს ფეხს, ხარვეზებიც ნაკლები იქნება. თუმცა, წარმოუდგენელია ათასობით ადამიანის ღიად შეფასების დროს, გარკვეული ხარვეზებისგან დავიცვათ თავი, მაგრამ სისტემამ უნდა მოძებნოს ისინი და გამოასწოროს. მასწავლებელი ამაზე არ უნდა რეაგირებდეს ისე, თითქოს ამით მისი ცხოვრება დასრულდა და სამყარო დაიქცა. ჩვენ ბავშვებს ვასწავლით, რომ შეცდომის დაშვებით ყველაფერი არ სრულდება, რომ მის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ. კიდევ ვიმეორებ, განაწყენებულმა მასწავლებელმა, რომელმაც გამოაგზავნა სერტიფიკატი, მაგრამ დაავიწყდა რეფლექსიის მიმაგრება და მისი პროფესიული განვითარება ვერ შეფასდა, ამას ასე უნდა შეხედოს – ის უარყოფითად კი არ შევაფასეთ, უბრალოდ, ვერ შევაფასეთ. აუცილებლად დავნერგავთ სკოლაში შეფასების პროცესებს, თანამშრომლობას და ნდობას. ჩვენს სკოლებში ხომ შეფასების პროცესი არ არსებობს, სწორედ ახლა ვიწყებთ ამის კეთებას და ეს არ არის ერთჯერადი აქტი, მიმდინარე პროცესია, დადებითი ან უარყოფითი შეფასებებით, გარკვეული ხარვეზებით, შემედეგ მათი გამოსწორებით და საბოლოო ობიექტური შეფასებით.

– მასწავლებლების გარკვეული პროცენტი, იმის გამო, რომ ტექნიკურად სწორად ვერ მოამზადა შესაფასებელი დოკუმენტაცია, შეფასების გარეშე დარჩა ან ნაკლები კრედიტქულებით შეფასდა. ნაჩქარევად ხომ არ დაიწყო პროცესი, იყვნენ თუ არა პედაგოგები სათანადოდ ინფორმირებული ამის შესახებ, რომ ხარვეზები თავიდან აგვეცილებინა?

– ჩვენი საქმიანობა სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია, ჩვენ მოსწავლეებისთვის ბევრ რამეში ვართ მაგალითი. გაიხსენეთ სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელსაც თან ახლავს წყენაც და ტკივილიც, როგორ განიცდიან პედაგოგები, ცუდი შეფასების შემთხვევაში, რას იტყვიან მოსწავლეები. მართლაც, ბავშვები ყურადღებით აკვირდებიან, როგორ ვრეაგირებთ ჩვენ, უფროსები თუნდაც ჩვენი პროფესიული უნარჩვევების შეფასებებზე და იცით, რა შეიძლება მივიღოთ? ის, რასაც ჩემი მეექვსეკლასელი შვილი აკეთებს – ეშინია რა, არ დაუშვას შეცდომა, ურჩევნია ან დედამისს დააწერინოს დავალება ან საერთოდ არ წავიდეს სკოლაში. რა არის ამაში არასწორი, იცით? ამას ჩვენ ბაკალავრიატში ან პროფესიული განვითარების ტრენინგებზე ვსწავლობთ – არ უნდა გვეშინოდეს შეცდომის დაშვების. ჩვენ ხომ შეცდომებითაც ვსწავლობთ. მსგავსი საქციელი პროფესიული სიმდაბლეა. თუ ჩვენ ბავშვებს არ დავანახებთ, რომ შეგვიძლია ჩვენს სისტემაში სიახლეების დანერგვა და ურთიერთთანამშრომლობაში წარმოქმნილი წინააღმდეგობების გადალახვა ისე, რომ ეს პროცესი ურთიერთდაპირისპირებაში, ბრალდებასა და შურში არ გადაიზარდოს, მაშინ ჩვენი სისტემა ვერ განვითარდება. ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, ამის მთავარი გაკვეთილი რა არისო? მთავარი გაკვეთილი ასეთია: ჩვენი სკოლა ან დაიწყებს ამ პროცესს და ურთიერთთანამშრომლობას გახდის ქვაკუთხედად, ან გამუდმებით გვექნება არგუმენტი, რომ ვიღაც განაწყენებულია, ვიღაც ვერ იტანს შენიშვნებს, ვიღაცას თურმე საუბარი არ შეუძლია მოწინააღმდეგე მხარესთან, ან ჩათვალეთ, რომ ჩვენი სკოლა არასოდეს იქნება მზად ძირეული ცვლილებებისთვის. პროცესი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაგვეწყო.

– პროფესიული განვითარების მიმართულებით მასწავლებელთა 56% დადებითად შეფასდა. ფიქრობთ თუ არა, რომ ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა, რომ არა ის მიზეზები, რაზეც ზემოთ ისაუბრეთ?

– რასაკვირველია, შეიძლება 56%-ზე მეტი ყოფილიყო. სამწუხაროდ, მასწავლებლების უმეტესობამ მართლა არ წაიკითხა წესები და ეგონათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სერტიფიკატის არსებობა, ან ტრენინგის გავლა, ან რომელიმე კონფერენციაში მონაწილეობა შეფასებისთვის საკმარისი იქნებოდა. შეფასების წესში კი მკაფიოდ ეწერა, რომ ვაფასებდით არა ტრენინგების ან კონფერენციების რაოდენობას, არამედ პროფესიული განვითარების ანალიზს, ანუ რეფლექსიებს. შესაბამისად, თუ ამ დოკუმენტს არ ატვირთავდნენ, ვერ შევაფასებდით. ახალმა სქემამ დაგვიდო ზღვარი – 6 კრედიტი უფროსი მასწავლებლებისთვის და 10 – წამყვანებისთვის. რომ დავითვალოთ, ბოლო პერიოდში, საქართველოს მასშტაბით, მასწავლებლებს რამდენი ტრენინგი აქვთ გავლილი და შემდეგ 25 საათი 1 კრედიტქულაში გადავიყვანოთ, მაქსიმალური 6 კრედიტი არ ეყოფოდა მასწავლებელთა ნახევარზე მეტს. სწორედ ამიტომ შეიქმნა შეფასების ახალი წესი, რომელიც შეიძლება ვინმეს არ მოსწონს. ტრენინგმა მასწავლებლებს მისცა ცოდნა, რომელიც უნდა გამოვლენილიყო კარგ გაკვეთილში, რესურსში და საკუთარი საქმიანობის პროფესიულად გამოვლენაში. ასე რომ, არ ვეთანხმები აზრს, თითქოს ვინმეს რამე დავუკარგეთ. ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ გააზრებულ პროფესიულ განვითარებაზე და ამისთვის უმარტივესი კითხვები დავსვით – რა საჭიროებამ განაპირობა ტრენინგის არჩევა? რა ცოდნა მიიღე? როგორ გამოიყენე (ეს შეიძლება პატარა მაგალითით მოგვიყვე)? რა შედეგზე გახვედი? თუ მასწავლებელი ამ კითხვებს გასცემს პასუხს, მისი პროფესიული განვითარების რეფლექსია შეფასებისთვის საკმარისი იქნება. ამით ნათლად გამოჩნდება გააზრებული ჰქონდა თუ არა მას ტრენინგები, კონფერენციები და ა.შ.

– მასწავლებელთა ნაწილმა იმის შესახებაც დაიჩივლა, რომ პროექტ „შვიდკაცაში“ მონაწილეობა არც ერთი კრედიტით არ შეფასდა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

– როგორც გითხარით, ახალი სქემით კრედიტების განაწილებამ გარკვეულ ჩარჩოებში ჩასვა ძველი სქემა. „შვიდკაცაში“ მონაწილეობა, როგორც კრედიტქულა, შეფასების წესში არ ასახულა. „შვიდკაცაში“ მონაწილეობა პედაგოგთა ცოდნასა და გამოცდილებაში აისახა. აუცილებლად გავაანალიზებთ, მაგალითად, „შვიდკაცას“ მონაწილე რამდენმა მასწავლებელმა მიიღო დადებითი შეფასება. მართლაც საინტერესოა, როგორია „შვიდკაცას“ მონაწილე მასწავლებლების პროცენტული შედეგები. ჯერ ეს დათვლილი არ არის, მაგრამ გეტყვით, რომ ერთმნიშვნელოვანი კორელაცია იქნება. იმიტომ, რომ შვიდკაცას პედაგოგები იცით რამ აღაშფოთა? მათ მიიღეს კრედიტი გაკვეთილში და შეფასებულ რესურსში, მაგრამ ვერ მიიღეს 2 კრედიტი პროფესიულ განვითარებაში, რადგან ჩათვალეს, რომ „შვიდკაცაში“ მონაწილეობა უკვე საკმარისი იყო და რეფლექსია არ გამოაგზავნეს. ასეთი მაგალითები ბევრი გვაქვს. ახლა იმას ასაჩივრებენ, რატომ არ ვუღიარებთ „შვიდკაცაში“ მონაწილეობას. ჩვენი პასუხი ასეთია: გაეცანით შეფასების წესს, შესაძლოა, მას არ ეთანხმებოდეთ ან არ მოგწონდეთ, მაგრამ ხომ უნდა იცნობდეთ.

– როგორია აპელაციის შედეგები, შეიცვალა თუ არა შეფასების სურათი?

– აპელაციამ, პირობითად, 7-დან 9%-მდე ბიჯი გააკეთა უკეთესობისაკენ, 1226 ადამიანის სააპელაციო განაცხადიდან, სხვადასხვა მიმართულებით, უმრავლესობა დადებითად დასრულდა. ლოგიკური ბიჯია იმ თვალსაზრისითაც, რომ მას შემდეგ, რაც კომისიამ დაიწყო ძიება და ამ დოკუმენტაციაში სათითაოდ იპოვა, თუ სადმე რამე არ იყო შემჩნეული, ბუნებრივია, ეს სურათს შეცვლიდა. დაახლოებით, 1000-მდე პედაგოგი მაინც დარჩა ნული კრედიტით, მაგრამ აქ საყურადღებოა ისიც, რომ მათგან 200 მასწავლებელი საერთოდ არ შეფასდა და ვერც შეფასდებოდა იმის, გამო, რომ არ იყვნენ დარეგისტრირებული ძველ სქემაში. მათ შორის იყვნენ გულწრფელი ადამიანებიც, რომლებსაც მართლაც შეეშალათ, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ეგონათ, რომ დარეგისტრირებული იყვნენ, მაგრამ არ აღმოჩნდნენ, რადგან სხვას არეგისტრირებინებდნენ თავს. სწორედ ამიტომაც, მსგავსი შემთხვევები რომ არ მოხდეს, პროფესიონალმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ თავისი საქმე თვითონ უნდა აკეთონ.

– მეთანხმებით თუ არა, რომ ეს ცალკეული მასწავლებლის შეცდომა და პრობლემა არ არის, ერთიც და მეორეც სისტემურია – ეს სკოლის პრობლემაა?

– რა თქმა უნდა, ამას არავინ უარყოფს. პირიქით, ამას ისიც ადასტურებს, რომ სკოლის ადმინისტრაციის განვითარებისთვის, სულ ახლახან, ათასწლეულის გამოწვევის ფონდისგან დიდი გრანტი მივიღეთ. რასაკვირველია, ჩვენს სკოლას განვითარება სჭირდება და მით უფრო იმის ფონზე, რომ ახლა იწყება სკოლის შიდაშეფასება, რასაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, რომ თავიდან ავიცილოთ თუნდაც ის პრობლემები, რაც ახლა გამოვლინდა. აუცილებელია, თანამედროვე ტექნოლოგიები გამართულად მუშაობდეს და ჩვენი მასწავლებლები მათ თავისუფლად ფლობდნენ, ბოლოს და ბოლოს, 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ.

ჩვენი საბოლოო დასკვნა დაიბეჭდება და ეს იქნება ერთგვარი რეკომენდაციების კრებული, რომ თავიდან ავიცილოთ და მინიმუმზე დავიყვანოთ ის რისკები, რომელიც, სქემით გამოვააშკარავეთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, წინ 2080 სკოლის შეფასების პროცესები გველოდება.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

აქტუალური თემა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეხმაურება მედიით გავრცელებულ ცილისმწამებლურ სტატიას „განგაშის ზარები“, რომლის ავტორი გურამ ფალავანდიშვილი (შპს უძრავი ქონების ფირმა „ერდო“), გამიზნულად, საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და განათლების სისტემის დისკრედიტაციის მიზნით აცხადებს: *„განათლების სამინისტრო, ევროკავშირის დავალებით, სექტემბრიდან ჩვენ შვილებზე მასირებული შეტევის განხორციელებას აპირებს – ახალი სავალდებულო საგნების „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“-ს მიზანი იქნება დაწყებით კლასებში, 7-13 წლამდე ბავშვების, ერთის მხრივ, ბილწი და უსაშინლესი მამათმავლური ცნობიერებით მოწამვლა, გარყვნა და, მეორეს მხრივ, მათი სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარება და აღრევა.“*

აღნიშნული „შემზარავი მიზნების“ მტკიცებულებებად ავტორს მოჰყავს ამონარიდები არა სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტიდან, არამედ 2004 წელს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ არაფორმალური განათლების მიზნით ნათარგმნი რესურსიდან „კომპასი“.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების დოკუმენტს ხსენებულ გამოცემასა და სტატიაში მოყვანილ ციტატებთან საერთო არაფერი გააჩნია. ამასთან, ასეთი კავშირის დანახვა არც საღი აზროვნებისა და ლოგიკის, არც ეთიკისა თუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის კონტექსტში აღიქმება.

ასევე გაუგებარია, როგორ შეიძლება ისაუბრო სახელმძღვანელოს არსებობაზე, როდესაც ჯერ სასწავლო გეგმა არ არის დამტკიცებული.

საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლის მიზანი მოსწავლის პიროვნული და ღირებულებათა სისტემის განვითარებაა. იგი მიზნად ისახავს, მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; შესძინოს საბაზისო ცოდნა საზოგადოებაში მიღებული ეთიკის ნორმების, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და პირადი უსაფრთხოების დაცვის შესახებ; გამოუმუშაოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაში შეუწყობს ხელს. შესაბამისად, „მე და საზოგადოების“ სასწავლო პროგრამაში, საგნის მიზნებისა და ასაკის შესაბამისად, განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: რატომ და როგორ უნდა ვზრუნავდეთ ოჯახის წევრები ერთმანეთზე; რატომ და როგორ უნდა დავაფასოთ ოჯახის ყველა წევრის შრომა; რატომ და როგორ დავიცვათ ჯანსაღი ცხოვრების წესი, ჰიგიენა, უსაფრთხოების წესები, ქუჩაში მოძრაობის წესები; როგორ შეიძლება ავირიდოთ დაავადებების გავრცელება; როგორ ვიმოქმედოთ ბუნებრივი კატასტროფების დროს; როგორ მოვუფრთხილდეთ მშობლიურ გარემოს; რატომ და როგორ უნდა იყოს ყველა ბავშვის უფლებები დაცული. საინტერესოა, ჩამოთვლილთაგან რომელი თემა აღიქმება როგორც *„ბილწი და უსაშინლესი მამათმავლური ცნობიერებით მოწამვლა, გარყვნა?!“*

სასწავლო გეგმის შემუშავებაში მასწავლებლები, ექსპერტები, ფსიქოლოგები მონაწილეობდნენ. რაც შეეხება საჯარო განხილვებს, იგი ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოქმედ პედაგოგებთან, მშობლებთან, აკადემიურ წრეებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. სასწავლო გეგმის პროექტი ხელმისაწვდომი იყო ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ასეთი გახსნილობის ფონზე ჩნდება ლეგიტიმური შეკითხვა– რა მიზანს ემსახურება აღნიშნული თემების ამგვარ კონტექსტში ინტერპრეტაცია?! სავარაუდოდ, ასეთი არაკეთილსინდისიერი საქციელი მხოლოდ პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად შეიძლება იყოს გამიზნული და, ამავე დროს, საზოგადოებაში ევროკავშირთან მიმართებით ნეგატიური განწყობის შექმნასა და ინტეგრაციის პროცესის ხელის შეშლას ემსახურება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ისევე, როგორც მთელ ჯანსაღ საზოგადოებას, აქვს ერთი მნიშვნელოვანი მიზანი – მომავალმა თაობამ მიიღოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ხარისხიანი განათლება და ჩამოყალიბდეს ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ, რისთვისაც საჭიროა ეფექტური პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მომზადება. სწორედ ამიტომ, სამინისტრო მუშაობდა და მუშაობს ღიაობის პრინციპით. ყველა დოკუმენტი, რომელიც მომზადდება სამინისტროში – სტანდარტები, სასწავლო გეგმები, მეთოდური გზამკვლევი, პროგრამები, მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულები – არის და იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დაინტერესებულ საზოგადოებას ვთხოვთ, დაკვირვებით გაეცნოს საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების III-IV კლასების სტანდარტსა და პროგრამებს და აღმოაჩინოს, რომელ გვერდზე, სად წერია სტატიაში მითითებული ციტატები: *„მამათმავლობისა და სქესთა აღრევის შესახებ“; „ამოარჩიეთ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ თავიანთ სექსუალობაზე, ჰეტეროსექსუალიზმის, ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და ტრანსსექსუალი ქალებისა და მამაკაცების ჩათვლით“* და სხვა; რომელი ნაწილი აჩენს *„სარწმუნოებრივ-ცნობიერებითი გადაგვარების და რელიგიათა, კულტურათა, ეროვნებათა აღრევის შესახებ“* ეჭვებს?

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, დრო და რესურსი იხარჯება „საზოგადოების გადარჩენის“ ცრუ პათოსით და მიზანმიმართული მანიპულაციებით საზოგადოების მოტყუებასა და არარსებულ პრობლემებზე მსჯელობაზე.

ამასთანავე, სამწუხაროა, რომ ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი და ამ „პასკვილის“ ხელმომწერებად მოგვევლინენ.

ჩვენ გვჯერა საზოგადოების კეთილგონიერების, რომელიც არ დაუშვებს მე-3 და მე-4 კლასელი ბავშვების აღზრდა-განათლების საკითხებით სპეკულირებას. ასევე ვიმედოვნებთ, რომ სიცრუის გამავრცელებელნი ვერ შეძლებენ საზოგადოების ემოციების ხარჯზე „ერისკაცობის“ დამტკიცებასა და პოლიტიკური ქულების დაგროვებას.

აქვე ვაცხადებთ, რომ ეს პროვოკაცია პასუხგაუცემელი არ დარჩება – არასწორი ინფორმაციის საზოგადოებისათვის თავს მოხვევისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციის მცდელობას მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

გასაცნობად გთავაზობთ საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების სტანდარტს, რომელშიც ჩამოთვლილია თემები და საკითხები, რომელზეც სამომავლოდ შეიქმნება ამ საგნის სახელმძღვანელოები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების სტანდარტის სამუშაო ვერსია

სავალდებულო თემები:
თემები III კლასისათვის

თემა	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები[1]:**	**საკვანძო ცნებები**
1. ჩემი ოჯახი	როგორ გამოვხატო პატივისცემა ოჯახის წევრების (დედ-მამის, და-ძმის, ბებია-ბაბუის) მიმართ? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 3, 10, 13)**; რატომ მაძლევენ ჩემი ოჯახის უფროსი წევრები რჩევებს/შენიშვნებს? **(საზ. მეც. დაწყ. (I).1, 2, 13)**; რატომ და როგორ უნდა ვზრუნავდეთ ოჯახის წევრები ერთმანეთზე? **(საზ. მეც. დაწყ. (I).1, 2, 3, 10)**; რატომ და როგორ უნდა დავაფასოთ ოჯახის ყველა წევრის (დედის, მამის, და-ძმის, ბებია-ბაბუის) შრომა? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 3, 6, 7, 8, 14)**; რა პასუხისმგებლობები მაქვს ჩემი ოჯახის წინაშე? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 1, 2, 13, 16)**; რატომ და როგორ უნდა დავიცვათ ოჯახში საერთო და პირადი ჰიგიენა? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 1, 2, 4)**; როგორ დავიცვა ჯანსაღი ცხოვრების წესი? რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას **(საზ. მეც. დაწყ.(I) 4)**; როგორ შეგვიძლია გავალამაზოთ საოჯახო გარემო (სახლი, ეზო)? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 2, 6)**; რას, რატომ და როგორ ვუფრთხილდებით ოჯახში (მცენარე, შინაური ცხოველი, სათამაშო, რელიკვია და სხვ.)? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 1. 5, 17)**; რატომ და როგორ უნდა დავიცვა უსაფრთხოების წესები საცხოვრებელ ადგილზე? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 15)**; რატომ და როგორ უნდა მოვიხმარო რესურსები (მაგ.: წყალი, ელექტროენერგია) გონივრულად (ეკონომიურად)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 8, 17).**	ოჯახი (დედა/მამა/და/ძმა/ბებია/ბაბუა); თაობა; წინაპარი; დაზოგვა; საოჯახო წეს-ჩვეულებები.
1. სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები	რა უფლებები და მოვალეობები მაქვს? რატომ და როგორ უნდა იყოს ყველა ბავშვის უფლებები დაცული სკოლაში? **(საზ. მეც. დაწყ. (I).1, 2, 3, 10, 13, 14)**; რატომ და როგორ უნდა ვცეთ პატივი თანაკლასელებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 3, 14)**; როგორ შეგვიძლია სხვადასხვა სიტუაციაში თანატოლების დახმარება? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 15)**; როგორ ავირიდოთ ან გადავჭრათ თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 16)**; როგორ შეიძლება ავირიდოთ დაავადებების გავრცელება სკოლაში, როგორ დავიცვათ პირადი ჰიგიენა და ვიკვებოთ ჯანსაღად? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 4)**; როგორ ვიმოქმედოთ საგანგებო სიტუაციებში? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 15)**; როგორ და რატომ უნდა ვიზრუნოთ უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 1, 2, 13, 15)**; რატომ არის მნიშვნელოვანი ქცევის წესების დაცვა სკოლის ყველა მოსწავლისთვის? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 1, 10, 14)**; რისი გაკეთება შემიძლია სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩემს თანატოლებთან ერთად (მაგ.: სივრცის გალამაზება, გამწვანება, დასუფთავება, ეზოს მოწყობა)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 17)**; რატომ და როგორ განსხვავდება ჩემი სკოლა იმ სკოლისგან, რომელიც ჩვენმა მშობლებმა, ბებია-ბაბუებმა დაამთავრეს? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 9,11)**; როგორ ზრუნავენ სკოლაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სკოლაზე? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 7)**; როგორ გამომადგება სწავლა მომავალში (მაგ. პროფესიისთვის, რომელზეც ვოცნებობ)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 7, 9)**; რატომ უნდა იყოს სკოლაში ყველა გოგონასა და ბიჭის განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობები და პირობები? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 13, 14).**	მოსწავლე/მასწავლებელი; მეგობარი/თანატოლები; სკოლა; სწავლა/შრომა; წესები; უსაფრთხოება; უფლება/მოვალეობა/პასუხისმგებლობა.
2. გარემო, რომელშიც ვცხოვრობ	როგორ ვმონაწილეობთ მე და ჩემი თანატოლები ჩემი თემის ცხოვრებაში? **(საზ. მეც. დაწყ. (I).1, 5, 13.)**; რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უბნის მაცხოვრებლებს, როგორ შეიძლება გამოვადგე ჩემს თემს (ინდივიდის დახმარება; საზოგადოებრივი საქმიანობა)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 1, 10, 14)**; რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 3, 10, 14, 16)**; როგორ ავიცილოთ ბუნებრივი კატასტროფები და როგორ ვიმოქმედოთ საგანგებო სიტუაციებში (ჩემი და სხვების უსაფრთხოება)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 15)**; როგორ და რატომ ვიცავ ქუჩაში მოძრაობის წესებს? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 15)**; რატომ და როგორ უნდა დავიცვა ჩემი თემის ბუნებრივი და კულტურული გარემო? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 5, 17)**; რომელი დაწესებულებების არსებობა არის აუცილებელი სოფლის/ქალაქის ცხოვრებაში; მათგან რომელი გვეხმარება უსაფრთხოების დაცვაში? **(საზ. მეც. დაწყ.(I). 8, 12, 15.)**; რატომ გვჭირდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ყოფნა ჩვენ ირგვლივ? **(საზ. მეც. დაწყ.(I). 7)**; რატომ ვყიდულობთ სხვადასხვა საქონელს და მომსახურებას? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 8.)**; რატომ არის საჭირო სპორტული და დასასვენებელი ადგილები ჩემი თემისთვის? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 4)**; რატომ არის მნიშვნელოვანი, ვიცოდე ჩემი სოფლის/ქალაქის ისტორია, ღირსშესანიშნაობა და დღევანდელი მდგომარეობა? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 5, 9, 11, 17)**.	უბანი/თემი (სამეზობლო, უბანი); მისაბაძი პიროვნება; ღირსშესანიშნაობა; ჩვენი; მოხალისეობა; საქონელი, მომსახურება; საგზაო ნიშნები.

[1] გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვების პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების სამი-ოთხი ან კიდევ უფრო მეტი გაკვეთილის მიზნად შეგვიძლია ჩავთვალოთ)

აქტუალური თემა

თემები IV კლასისათვის

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები[2]:	საკვანძო ცნებები
1. სად და როგორ ვიღებ განათლებას?	რა მნიშვნელობა აქვს განათლებას ჩემი მომავალი ცხოვრებისთვის? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 7, 10)**; რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების (მაგ.: ექსკურსიაზე, მუზეუმში, სპექტაკლზე...) შედეგად? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 1, 3, 4, 5, 9, 10, 11, 15)**; რატომ არის განათლება ყველა ბავშვის უფლება? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 13)**; რატომ არ უნდა მივითვისო სხვისი ნაშრომი (მაგ.: თანაკლასელის სასკოლო დავალება)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 3, 10, 16)**; როგორ და რატომ უნდა ვისარგებლოთ ბიბლიოთეკით? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 12)**; რას ვსწავლობთ და როგორ უნდა ვიქცეოდეთ თეატრში, კინოში, გამოფენასა და მუზეუმში? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 3, 12)**; რა მიზნით და როგორ ვგეგმავთ სხვადასხვა ღონისძიებას? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 8, 15)**; როგორ ვიქცევით უსაფრთხოების წესების დაცვით ექსკურსიაზე (არ ვტოვებთ ცეცხლს, არ ვეხებით უცხო საგნებს და ცხოველებს...)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 6, 8, 15, 17)**; რა ინფორმაციას გვაწვდის ისტორიული ძეგლები გარემოსა და ჩვენი მხარის შესახებ? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 5, 9, 11, 17)**; რატომ გვჭირდება სპორტი გოგონებსაც და ბიჭებსაც, დიდებსაც და პატარებსაც? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 4)**; რისთვის ვკითხულობთ წიგნებს? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 3, 6)**; რა შედეგები შეიძლება მოგვიტანოს შრომამ და რატომ არის შრომა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 3, 6)**; რატომ არ შეიძლება ბავშვის შრომის ბოროტად გამოყენება? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 10, 13)**.	სწავლა/სწავლება/განათლება; გამოცდილება; ბავშვის უფლება და მოვალეობა; პერსპექტივა/წარმატება; ქცევის ნორმები.
2. მედია და ინფორმაცია	საიდან ვიღებთ და როგორ ვიყენებთ ინფორმაციას? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6.)**; რატომ შეიძლება გახდეს შეუმოწმებელი ინფორმაცია კონფლიქტის მიზეზი? **(საზ. მეც. დაწყ. (I).16)**; რატომ უნდა მოვუსმინოთ განსხვავებულ აზრს? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 2, 3, 14)**; როგორ ხდებოდა ინფორმაციის გადაცემა/გავრცელება ძველად და ახლა? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 9, 11)**; რა დრო უნდა დავუთმო დღის განმავლობაში საინფორმაციო-ტექნოლოგიურ საშუალებებს? **(საზ. მეც. დაწყ. (I).2, 4, 6)**; რა ინფორმაცია შეიძლება მივიღო რეკლამისგან? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 8)**; რაში გვეხმარება სოციალური რეკლამა (რომელიც ასახავს მაგ.: ეკოლოგიის პრობლემებს, ან მოგვიწოდებს სამოქალაქო აქტიურობისკენ)? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 2, 6, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17)**; ვის და როგორ უნდა მივმართოთ საფრთხის შემთხვევაში (პირადი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი პრობლემები)? **(საზ. მეც. დაწყ.(I). 15)**; რა გზით გავუზიარო ინფორმაცია თანატოლებს ბავშვთა უფლებების შესახებ? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 13)**.	ჟურნალისტი/ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; სასარგებლო/უსარგებლო ინფორმაცია; ინფორმაციის წყარო; სოციალური ქსელი; რეკლამა/სოციალური რეკლამა; დღის რეჟიმი.
3. მე და ჩემი ქვეყანა	რატომ უნდა მიყვარდეს ჩემი ქვეყანა და ვუფრთხილდებოდე მას? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 5, 10, 11, 13, 17)**; რატომ უნდა ვცეთ პატივი ჩემი ქვეყნის დროშასა და გერბს? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 5, 10)**; რატომ უნდა გავუფრთხილდე ჩემი ქვეყნის ბუნებას? **(საზ. მეც. დაწყ. (I). 6, 10, 17)**; რატომ უნდა მოვიხმაროთ პასუხისმგებლობით ბუნებრივი რესურსები? **(საზ. მეც. სტ. IV. 6, 8, 17)**; რატომ უნდა დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი (ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში) **(საზ. მეც. დაწყ. (I) 2, 13, 15)**; რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს წესებისა და კანონების დარღვევას? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 2, 3, 10, 13, 14, 17)**; რატომ აღვნიშნავთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ეროვნულ დღესასწაულებს (მაგ.: დამოუკიდებლობის დღეს...)? **(საზ. მეც. დაწყ. (I) 1, 9, 11)**; რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია? **(საზ. მეც. დაწყ. (I).4)**.	წეს-ჩვეულება/ტრადიცია; ეროვნული დღესასწაულები; შემწყნარებლობა, პატივისცემა; წესი\კანონი; უფლება\მოვალეობები; მოსახლეობა; თაობა/წინაპარი; მემკვიდრეობა; სიმბოლიკა; ქვეყანა; მართვა.

[2] გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვების პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) სამი-ოთხი ან კიდევ უფრო მეტი გაკვეთილის მიზნად შეგვიძლია ჩავთვალოთ).

შეფასება

საზოგადოებრივი მეცნიერებების საფუძვლების სწავლებისას გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, რომელიც ავთენტიკური შეფასების[3] პრინციპებს ემყარება (იხ. ზოგადი ნაწილი).

საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

1. **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა:** პლაკატი, ნახატი, კომიქსი, ფლაერი, ბუკლეტი, კედლის გაზეთი, მაკეტი, ემბლემა;
2. **საკლასო აქტივობებში ჩართულობა**;
3. ინფორმაციის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება;
4. თხზულების/თემის **დაწერა**; წერილის მიწერა; ზღაპრის, იგავის, ლექსის, კროსვორდის შექმნა; დაუსრულებელი ისტორიის დასრულება;
5. მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის **განხილვა**;
6. **ექსკურსია**;
7. **კვლევითი პროექტი** (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევა, ქცევის წესები („კონსტიტუცია“), დღის რეჟიმი, „მეგობრობის დღიური“, გამოფენა);
8. **დისკუსია** (დებატი).

აღნიშნულ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობა განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით ფასდება, რომლებიც, ერთი მხრივ, ამოწმებს მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, მეორე მხრივ, კი – სასწავლო პროცესში შეძენილი ცოდნის ხარისხს (ცოდნის სამ კატეგორიას – დეკლარატიულს, პროცედურულს, პირობისეულს).

[3] შეფასების ფორმა, რომელიც მოსწავლის ცოდნასა და უნარებს პრაქტიკულ-ცხოვრებისეულ სიტუაციებზე დაფუძნებული აქტივობების საფუძველზე ამოწმებს.

ინფორმაცია

გუნდი „სოლარი“ ნასაში გაემგზავრება

2016 წლის 12 თებერვალს, ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალი გამართა. ფინალში მონაწილეობა მიიღო ათმა კონკურსანტმა გუნდმა, რომელიც 34 მოსწავლისგან შედგებოდა. გუნდების მიერ წარმოდგენილი პროექტები დამოუკიდებელმა ექსპერტთა კომისიამ შეაფასა. შედეგად, გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდი.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის პირველ ადგილზე გავიდა „ახალი ლიცეუმისა“ და „აია-GESS“-ის სკოლების მოსწავლეებისგან შემდგარი გუნდი „სოლარი“ პროექტით – „მზის პანელის მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგია“. შესაბამისად, გუნდი „სოლარი“ მონაწილეობას მიიღებს აშშ-ს კონრადის ფონდის (The Conrad Foundation) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სამიტში (http://www.conradchallenge.org/), რომელიც გაიმართება 2016 წლის 20-24 აპრილს, ნასას კენედის კოსმოსურ ცენტრში (NASA Kennedy Space Center), აშშ-ში.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს კომაროვის 199-ე საჯარო სკოლის გუნდების პროექტებმა: „პროცესორიდან ნეირონამდე“ და „მემბრანული კინემატიკური წყვილებიანი ორიგინალური განშლადი კონსტრუქციის დიზაინი“. მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვეს კომპანია Geocell-მა, აჭარა ჯგუფმა და საქპატენტმა.

ფინალის მონაწილე ათივე გუნდი სხვადასხვა პრიზებით დაჯილდოვდა კერძო სექტორის მიერ. აღსანიშნავია, რომ კონკურსის მონაწილე ექვს მეთორმეტეკლასელს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანმა, **კენ უოლშმა** გადასცა 50-პროცენტიანი სტიპენდია, რომელსაც მოსწავლეები სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების შემთხვევაში გამოიყენებენ.

კონკურსანტებს მიესალმნენ და გამარჯვება მიულოცეს: ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა **მაგდა მაღრაძემ**, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, **იან კელიმ** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**.

ათასწლეულის ინოვაციის პირველი კონკურსი 2014-15 წელს ჩატარდა და გამარჯვებულმა გუნდმა „მულტიკლიმატიზატორი“ მონაწილეობა მიიღო კონრადის ფონდის ინოვაციების საერთაშორისო სამიტში, NASA-ს კენედის კოსმოსურ ცენტრში.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსს ახორციელებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.

კონკურსი ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას ემსახურება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ახალ მიღწევებს.

მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად

სკოლის ექიმებმა, მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის საკითხებში, სასწავლო კურსი გაიარეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ლია გიგაურმა**, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, **ამირან გამყრელიძემ** და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, **ლელა ბაქრაძემ** საზეიმო ვითარებაში, მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს.

სკოლის ექიმთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაძლიერება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ექიმთა გადამზადება ლოზანას უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების სამსახურთან (EuTEACH) პარტნიორობით ხორციელდება. პარტნიორობის ფარგლებში, სკოლის ექიმთათვის შეიქმნა სასწავლო მოდული და მომზადდა 20 ტრენერი, რომლებიც ეტაპობრივად გადასცემენ ამ ცოდნას განათლების სისტემაში მოქმედ სკოლის ექიმებს. ამ დროისათვის, უკვე 63-მა სკოლის ექიმმა გაიარა აღნიშნული სასწავლო კურსი.

მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სასწავლო მოდულის ექიმთა უწყვეტი განათლების სისტემაში ინტეგრირება.

აღნიშნული ინიციატივა სკოლის ექიმთა პროფესიულ განვითარებასა და სკოლის ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს, რაც დადებითად აისახება მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე.

STEM დარგების განვითარება

„პირდაპირი ინვესტიცია საქართველოს მომავალში“

14-მილიონიანი პროექტი მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარებისთვის

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „ათასწლეულის განვითარების ფონდი – საქართველოს“ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ქვეყნის მასშტაბით, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის განხორციელებას იწყებს.

14 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) 140 მილიონი აშშ დოლარის მეორე კომპაქტის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს STEM პროფესიების – საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, გეოგრაფიისა და ინგლისური ენის VII-XII კლასების მასწავლებელთა, ასევე სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების გზით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სკოლის მართვის ხარისხის დახვეწას.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** აცხადებს, რომ ეს არის ამერიკის მხრიდან საქართველოს დახმარების ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა, რადგან 140-მილიონიანი გრანტი პირდაპირი ინვესტიციაა საქართველოს მომავალში.

ვიდრე პროექტის კონკრეტულ დეტალებზე გადავალთ, მკითხველს გავაცნობთ რატომ შეირჩა STEMპროფესიები და რატომ ჩადო მილენიუმის კორპორაციამ საქართველოში ამ დარგების განვითარებაში უპრეცედენტო ინვესტიცია. STEM – 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტერმინი ტექნოლოგიურ, საინჟინრო, საბუნებისმეტყველო დარგებს აერთიანებს. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეპოქაში კი მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა მაღალი დონის განათლება მიიღონ ტექნიკურ დარგებში. თანამედროვე სამყაროში STEM სპეციალობებზე მოთხოვნა უფრო და უფრო იზრდება, BBC-ის მიერ ახლახან გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ელექტრული ინჟინრები, ბიოქიმიკოსები და პროგრამისტები მოთხოვნადი პროფესიების სიაში მოწინავე რიგებს იკავებენ. საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან, გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე, როგორ განსხვავდება ზოგადად საშუალო ხელფასის მაჩვენებლები ელექტრული ინჟინრის საშუალო ხელფასისგან – 27 195 ევრო/ 43 711 ევრო. მსგავსი ვითარებაა აშშ-ში, სადაც STEM ფაკულტეტების კურსდამთავრებულებზე დიდი მოთხოვნაა. მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა ათასწლეულის განვითარების ფონდმა საქართველოში STEM დარგების განვითარება, მათ შორისაა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პროექტიც.

პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა, სადაც მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **მაგდა მაღრაძე**, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტის მოადგილე **ფატემ სუმარი** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი**.

სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროექტს **მაგდა მაღრაძე** ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტივობას უწოდებს, რომელსაც ათასწლეულის გამოწვევის ფონდი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს.

„კომპაქტი გახლავთ ხუთწლიანი გრანტი, რომელიც საქართველოს მხარემ 2013 წელს მიიღო.ხუთი წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში STEM დარგებში ადამიანური კაპიტალის განვითარებას. დამეთანხმებით, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარება სკოლიდან იწყება. თუ სკოლაში არ გვექნება მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების პროცესი, ძალიან რთულია პროფესიონალი კადრის აღზრდა. შესაბამისად, პროექტი მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო, მათემატიკის, ინგლისური ენის, ისტ-ის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნას, ხოლო სკოლის მართვის გაუმჯობესების მიზნით, სკოლის დირექტორთა პროფესიულ განვითარებას.

აღნიშნული პროექტი შესაძლებლობას მოგვცემს, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, არაერთი მნიშვნელოვანი ტრენინგი და აქტივობა ჩავატაროთ, რაც ჩვენს პედაგოგებს პროფესიულ განვითარებაში დაეხმარება.

მადლობა მინდა გადავუხადო ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას, ამერიკის მთავრობას და ამერიკელ ხალხს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც საქართველოს სთავაზობენ. ისინი ჩვენი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორები არიან“.

პროექტის მიზნის – STEM პროფესიების მასწავლებელთა, ასევე სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების გზით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სკოლის მართვის ხარისხის დახვეწა – მისაღწევად, ზემოაღნიშნულ საგნებში გადამზადდება 20 ათასამდე მასწავლებელი და ყველა საჯარო სკოლის დირექტორი, გარდა ამისა, მომზადდება სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების 2000-ზე მეტი ფასილიტატორი. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უწყვეტი პროფესიული განვითარების ეფექტიანი სისტემის დანერგვას, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შესაძლებლობების ზრდას, სატრენინგო მასალებისა და საჭირო რესურსის შექმნას. პროექტი 2016 წლის იანვარში დაიწყო და 2019 წლის ზაფხულში დასრულდება.

პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში განხორციელებული ინვესტიცია ხელს შეუწყობს მასწავლებლებს, ჩაერთონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში. შედეგად, ისინი საჭირო კრედიტების დაგროვებას და მომდევნო საფეხურზე გადანაცვლებას შეძლებენ, რაც მათ ხელფასებზე აისახება.

თამარ სანიკიძე: *„კომპონენტი, რომელიც დღეს ოფიციალურად გაფორმდება, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა გადამზადებას, და დირექტორთა პროფესიულ განვითარებას. რა თქმა უნდა, მასწავლებელს გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება მუდმივად ესაჭიროება და მნიშვნელოვანია, რომ ის ამ საქმეში მარტო არ იყოს და ჰქონდეს შესაბამისი მხარდაჭერა სახელმწიფოსა და პარტნიორების მხრიდან, რაც დღეისათვის სახეზეა და ძალიან სასიხარულოა. ქვეყანა ახორციელებს რეფორმას, რომელმაც მთლიანად უნდა შეცვალოს პედაგოგიური განათლების, მისი განვითარების, შეფასების აქამდე არსებული გზები. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ პროცესში გყავდეს ისეთი გამოცდილი პარტნიორი, როგორიც ათასწლეულის გამოწვევის ფონდია. შესაბამისად, აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა წარმატებული იქნება. ამ წარმატებაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი უჭირავს პროგრამის უშუალო განმახორციელებელს – „მასწავლებელთა სახლს“, რომელმაც უკვე კოლოსალური სამუშაო შეასრულა იმისთვის, რომ მოსამზადებელი ეტაპები წარმატებით დასრულებულიყო.*

ეს არის ერთ-ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები შეძლებენ დააგროვონ კრედიტები, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამა მათ შემდეგ კარიერულ საფეხურზე გადასვლაში დაეხმარება, სადაც უკეთესი ხელფასი ელოდებათ. ამიტომ, რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ ამ პროექტს, ყოველმხრივ მნიშვნელოვანი, საინტერესო და, უფრო მეტიც, გადაუდებელია. რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა დავძლიოთ ის ხარვეზები, რაც სისტემაში ამ კუთხით გვაქვს და გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა სასწავლო შედეგები.

წარმატებას ვუსურვებ პროგრამაში ჩართულ ყველა ადამიანს, დაწყებული სამინისტროს თანამშრომლით და დამთავრებული პედაგოგებით. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა დონორ ორგანიზაციას, ჩვენს პარტნიორებს, დამფინანსებლებს იმისთვის, რომ ფეხდაფეხ მოგვყვებიან რეფორმის გზაზე. წარმატებას ვუსურვებ ყველას.“

ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი** კი მიიჩნევს, რომ პროექტი იმითაც მნიშვნელოვანია, რომ *„ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სისტემასა და სკოლის სისტემაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე, ცენტრის შესაძლებლობების განვითარებასაც (რადგან ცენტრი პროექტის ძირითადი განმახორციელებელი ორგანიზაციაა), მათ შორის, სისტემაში დასაქმებული პედაგოგებისა და მენეჯერებისათვის პროფესიული განვითარების კურსების შეთავაზებით“.*

რა კომპონენტებისგან შედგება პროექტი, რა ეტაპებს გაივლიან მასწავლებლები, როგორი იქნება ტრენინგმოდულები და როგორ აპირებს სახელმწიფო აღნიშნული პრობლემის გადაჭრას – ამ საკითხების ირგვლივ საუბრობს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამის მენეჯერი ირინა აბულაძე:

– მოგეხსენებათ, ეს პროექტი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების მიერ 2013 წელს გაფორმებული შეთანხმების, ე.წ. 140-მილიონიანი კომპაქტის ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც გულისხმობს საქართველოს განათლების სისტემის მხარდაჭერას სწორედ ამ მიმართულებებით – როგორც ზოგადი განათლების, ისე პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროებში. ყველაზე დიდი აქცენტი გადატანილია ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ტექნიკური სფეროების განვითარებაზე. ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება, პირველ რიგში, მოსწავლეთა მიღწევებზე უნდა აისახოს. შესაბამისად, სწორედ ამიტომ იგეგმება როგორც ამ მიმართულებების მასწავლებლების, ასევე დირექტორებისა და სკოლის ბაზაზე არსებული ფასილიტატორების პროფესიული განვითარება – მასწავლებლების, რომლებიც თავიანთ კოლეგებს ეხმარებიან განვითარებაში.

– რატომ იწყება მასწავლებლების გადამზადება მეშვიდე კლასიდან და არა უფრო დაბალი კლასებიდან?

– ეროვნული სასწავლო გეგმა ეროვნული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს რომელ კლასში რა საგანი უნდა ისწავლებოდეს და რა შედეგებზე უნდა გავიდეს მოსწავლე. სასწავლო გეგმის მიხედვით, მეცნიერებების სწავლება, ძირითადად, მეშვიდე კლასიდან იწყება. მოგეხსენებათ, რომ პირველი საფეხური პირველი-მეექვსე კლასებია, სადაც ჯერ უნარების განვითარებით ვიწყებთ, შემდეგ ნელ-ნელა გადავდივართ საგანზე. პროექტის შემუშავებისთვის, 2013 წელს, უცხოური, კერძოდ, გერმანული საკონსულტაციო კომპანია იყო დაქირავებული, რომელმაც პროექტის დიზაინზე იმუშავა. რა თქმა უნდა, ის გამოცდილებაც გავიზიარეთ, რაც ქვეყანაში არსებობს. ყველაზე კარგი გამოცდილება ჯიპრაიდის პროექტია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია USAID-ის დაფინანსებით ხორციელდება დაწყებითი განათლების მიმართულებით. პროგრამა საქართველოში მათემატიკისა და წიგნიერების განვითარებას ემსახურება, ანუ ეს ინტერვენცია უკვე დაწყებულია. პილოტირების ეტაპი დასრულებულია და შედეგებიც სახეზეა. ამიტომ, ლოგიკური ბმა რომ ყოფილიყო, და ვინაიდან, ძირითადად, ეს საგნები მეშვიდე კლასიდან შედის სასწავლო პროგრამაში (მაგალითად, მეცნიერებები), შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, ფოკუსირებულად მეშვიდე-მეთორმეტე კლასების, ანუ საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლების დახმარება.

– იქონია თუ არა გავლენა ამ მიმართულებების არჩევანზე მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდების ცუდმა შედეგებმა და ასევე, საერთაშორისო კვლევების მიერ გამოვლენილმა მოსწავლეთა არასახარბიელო მაჩვენებლებმა?

– საერთაშორისო შეფასებები ნამდვილად არის ჩვენთვის ერთ-ერთი ინდიკატორი, თუ სად ვიმყოფებით მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებით, საერთაშორისო ჭრილში. მოგეხსენებათ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მსგავსი შეფასებების ჩატარებას. შედეგები ნამდვილად აჩვენებს, რომ მოსწავლეთა მაჩვენებლები საშუალოზე დაბალია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ დინამიკა, ნელ-ნელა, გაუმჯობესებისკენ მიდის, მაგრამ ეს არ არის გაუმჯობესების ის ტემპი, რასაც ვისურვებდით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კომპაქტის ფარგლებში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ასევე, ახორციელებს ერთ-ერთ კომპონენტს ტექნიკური, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, სადაც უფრო გაძლიერებული იქნება ადგილობრივი შეფასებებიც, რომ ეტაპობრივად ვნახოთ, სამ-ოთხ წელიწადში, როგორ უმჯობესდება ჩვენი მოსწავლეების მიღწევები.

რაც შეეხება სასერტიფიკაციო გამოცდებს, ერთი ხელის მოსმით ვერ ვიტყვით, რომ სავალალო შედეგები გვაქვს. ორი წლის წინ მედია აქტიურად აშუქებდა, რომ ფიზიკის პედაგოგების მხოლოდ სამმა პროცენტმა შეძლო მინიმალური ზღვრის გადალახვა, მაგრამ გასულ წელს სურათი რადიკალურად შეიცვალა – დაახლოებით, 30-მა პროცენტმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ერთი რამ ცხადია, მასწავლებელს, პროფესიული განვითარების მიმართულებით, ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება, რომ თეორიული ცოდნა, რეალურად, პრაქტიკაში განახორციელოს.

– ჩართულია თუ არა ამ პროექტში ყველა მოქმედი პედაგოგი, მათ შორის არაქართულენოვანი მასწავლებლები და რეალურად როდის დაიწყება ტრენინგები?

– რასაკვირველია, პროექტი STEM პროფესიების ყველა მოქმედი მასწავლებლისთვისაა განკუთვნილი, სხვა საგნების მიმართულებით კი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი აგრძელებს მუშაობას. უცხოელი კონსულტანტები, რომლებიც ამ პროექტისთვის არიან მოწვეული, ზოგადად, კონსულტირებას გაგვიწევენ ცენტრის უფრო ეფექტურად

STEM დარგების განვითარება

მუშაობაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებისთვის ყველა საგანში გავაგრძელებთ ტრენინგებს. ამ კონკრეტული პროექტის სამიზნე ჯგუფი კი, როგორც მოგახსენეთ, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ინგლისურისა და გეოგრაფიის მასწავლებლები არიან.

რაც შეეხება არაქართულენოვან მასწავლებლებს, ბუნებრივია, ყველა არაქართულენოვანი სკოლა იქნება ჩართული პროექტში და მათთვის – როგორც მასწავლებლებისთვის, ისე დირექტორებისთვის – მასალები მათ მშობლიურ ენაზე გადაითარგმნება. ტრენინგების დროს, სადაც ამის საჭიროება იქნება, გამოვიყენებთ ბილინგვურ – ორენოვან – მიდგომას.

ტრენინგ-მოდულები რამდენიმეეტაპიანია. პირველ ეტაპზე დავიწყებთ პროფესიული უნარებით და შემდეგ საგნობრივ უნარებზე გადავალთ – საფეხურეობრივი დაფარვა იქნება ისევე, როგორც დირექტორების შემთხვევაშია.

თუმცა, მოდულები, რომლებსაც პროექტი მასწავლებლებს შესთავაზებს, მაქსიმალურად ინტერაქტიული იქნება, რადგან პროფესიული განვითარების გამჭოლი თემა მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მთავარი ფოკუსი მოსწავლეა. მასწავლებელს იმაში უნდა დავეხმაროთ, რომ მოსწავლისთვის საინტერესო გაკვეთილი ჩაატაროს. ძალიან რთული მისიაა, მაგრამ ვფიქრობ, დაძლევადი და თან აუცილებელი.

სავარაუდოდ, ტრენინგები სექტემბრიდან დაიწყება და 2019 წლის ზაფხულამდე გასტანს.

– როგორ მოხდება საჯარო სკოლების დირექტორების პროფესიული განვითარება?

– უკვე ორი წელია, რაც ცენტრი, დირექტორების პროფესიული განვითარების მიმართულებით, სხვადასხვა ტრენინგ-მოდულებს, კონფერენციებსა და ვორქშოპებს ახორციელებს, მაგრამ ამ პროექტის თავისებურება უფრო ჰოლისტიკური მიდგომაა, ანუ საჭიროებების შესწავლის შემდეგ, პროფესიული განვითარებისთვის უფრო სისტემური გზის დაგეგმვა. მომავალი ორი წლის განმავლობაში, დირექტორებს ჩაუტარდებათ ინტენსიური წვრთნა სხვადასხვა მიმართულებით, დაწყებული ფინანსურ-ადამიანური რესურსების მართვით და დამთავრებული დირექტორის, როგორც სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის გადამზადებით. არაერთხელ დავრწმუნდით, რომ დირექტორი მენეჯერია, მაგრამ ის ჩვეულებრივი ორგანიზაციის მენეჯერი არ არის, სასწავლო ორგანიზაციის მენეჯერია და, შესაბამისად, იმისთვის, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა უზრუნველყოს (ფიზიკური მოწყობით დაწყებული, გაკვეთილის და მასწავლებლის ხელშეწყობით დასრულებული), თავად კარგად უნდა ერკვეოდეს თანამედროვე მიდგომებსა და პედაგოგიკის საკითხებში. აუცილებლად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს კარგი სასწავლო პროცესი. შესაბამისად, ეს გადამზადება საფეხურეობრივად წარიმართება. იმისთვის, რომ დირექტორები სასწავლო პროცესს არ მოვაცდინოთ, მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ იმას, რომ კურსები, ძირითადად, არდადეგების პერიოდში შევთავაზოთ, რაც მთავარია – სკოლებთან ახლოს. დაახლოებით, 6-ზე მეტი წერტილი იქნება, სადაც დირექტორები დაჯგუფდებიან, ახლომდებარე სკოლების მიხედვით. ვფიქრობთ, ამით მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს დირექტორების ადგილებზე დარჩენას.

– ვინ იქნებიან ტრენერები?

– უახლოესი ორი კვირის განმავლობაში, გამოვაცხადებთ ტრენერთა შესარჩევ კონკურსს. მართალია, ცენტრს საკმაო რაოდენობის ტრენერები ჰყავს, რომლებთანაც დიდი ხანია თანამშრომლობს, მაგრამ, რადგან, ასე ვთქვათ, უფრო მაღალ სტანდარტზე გადავდივართ, სადაც ხარისხს მეტი ყურადღება მიექცევა. შესაბამისად, ტრენერთა კონტინგენტსაც უნდა გადავხედოთ და გადავამზადოთ. ტრენინგ-მოდულების შექმნასა და ჩატარებაში უცხოელი კონსულტანტები გაგვიწევენ დახმარებას. მსურველებზე შეზღუდვა არ გვექნება. ტრენერთა მომზადების ორ მიმართულებაზე ვფიქრობთ: ერთი – უკვე გამოცდილი ტრენერების გადამზადება; მეორე – ახალი ტრენერების მომზადება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გარდა, ტრენერებთან შეიძლება სხვა პროვაიდერებმაც ითანამშრომლონ. ტრენერობის მსურველები, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება ან ნაკლები გამოცდილება აქვთ, მომზადების უფრო გრძელ გზას გაივლიან; ისინი კი, ვისაც ცენტრთან ან სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროვაიდერთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ – უფრო მოკლე გზას. თუმცა, ყველა მათგანი გაივლის შერჩევას, გადარჩევას და გადამზადებას.

– მოხდება თუ არა პროცესების მონიტორინგი და როგორ?

– პირველ ეტაპზე, მასწავლებლები გაივლიან ზოგადი პროფესიული განვითარების კურსს, თანამედროვე მიდგომებისა და სტრატეგიების შესახებ, რომელსაც აუცილებლად ექნება შესაბამისი საგნობრივი სპეციფიკის საკითხავი მასალა, სავარჯიშოები თუ სხვადასხვა სახის დამხმარე ლიტერატურა. ამის შემდგომ, მასწავლებლები დაბრუნდებიან საგაკვეთილო წიაღში. ჩვენ მონიტორინგს კი არ გავუწევთ, შეიძლება ითქვას, რომ ფეხდაფეხ მივყვებით საკლასო ოთახში, რათა ვნახოთ, რა და როგორ გადაიტანეს მათ სასწავლო პროცესში, ანუ ტრენინგები თუ სხვადასხვა პროფესიული განვითარების კურსები, რეალურად, როგორ აისახა მათ პრაქტიკაზე. მთავარი სწორედ ეს არის. ტრენინგი და კონფერენცია კარგია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ კლასში, ადგილზე შეიცვალოს რამე. ასეთი კვლევის საფუძველზე, დავგეგმავთ შემდგომ ინტერვენციას, რომელიც შეიძლება თვეში ერთხელ ან სამ თვეში ერთხელ განხორციელდეს, სასწავლო ვორქშოპების ან სემინარების სახით. ესეც რეგიონული პრინციპით მოხდება.

პედაგოგთა დასახმარებლად

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

სქესი და გენდერი

სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესში ერთ-ერთი აქტიური საკითხი დისკრიმინაცია და მისგან თავდაცვაა. ამ მხრივ კი, სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციას შორის, ერთ-ერთი აქტუალური თემა გენდერული დისკრიმინაციაა, რასაც ოჯახურ ძალადობამდე მივყავართ და, რაც არც ისეთი იშვიათობაა ჩვენს დღევანდელობაში.

გაკვეთილს ვიწყებთ კითხვის დასმით: რა განსხვავებაა სქესსა და გენდერს შორის?

სქესი	გენდერი
ბიოლოგიური თანდაყოლილი უცვლელი მამრობითი-მდედრობითი	სოციალური შეძენილი ცვალებადი (დრო, ეპოქა, რელიგია, კულტურა, ეთნიკური კუთვნილება, ასაკი, სოციალური კლასი) ქალური-მამაკაცური

ამის შემდეგ, 5 წუთის განმავლობაში, ვაჩვენებთ პატარ-პატარა სიუჟეტებს გენდერის თემაზე.

ვიხილავთ გენდერულ სტერეოტიპს შემდეგი მაგალითით:

დილით, 8 საათსა და 57 წუთზე მორიმამ ჩვენი ბავშვი შვა. პატარა არსება გამოძრომას ცდილობდა. ჯერ თავი გამოჩნდა, მერე-პატარა ხელიც. ცოტა ხნის შემდეგ კი ჩემ წინ ჯანმრთელ ბავშვს ვუცქერდი. ბიჭი. ექთანმა გაიღიმა. „როგორი პატარა და ძლიერი ვაჟკაცია“ – აღნიშნა მან. სიხარულის ცრემლებით სავსე თვალებით, გაკვირვებით შევხედე. სულ რაღაც წამებს ითვლიდა მისი არსებობა და უკვე დადგენილი სცენარით! გოგო რომ ყოფილიყო, ნეტა რას იტყოდა? „რა საყვარელი პატარა არსებაა?“ ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ჯერსის საფეხბურთო გუნდისთვის მიმზადებდა უკვე ჩვილს. სულაც არ ვარ ფეხბურთისადმი გულგრილი, მაგრამ იქნებ სახლობანას თამაში ამჯობინოს? ბავშვისთვის სახელიც კი არ დაგვერქმია და უკვე სიძლიერე და მასკულინობა მიაწერეს. ასე ხდება ხოლმე: როგორც კი ქვეყანას მოვევლინებით, მაშინ გვსაზღვრავენ, – ჩვენ შორის თითქმის ნახევარს, ამ სიტყვებით „ბიჭია!“.

ეს ჩვენი ბედის გამოცხადებაა. თუმცა, ამ ბედს, რეალურად, ბიოლოგია კი არა, საზოგადოებაში სქესთან მიმართებაში არსებული დამოკიდებულება განსაზღვრავს. მამაკაცებს მთელ რიგ ემოციურ მახასიათებლებს და შესაძლებლობებს მიაწერენ, ქალებს კი – სულ სხვაგვარს.

მოკლედ, ჩემი შვილი მამაკაცთა გემბანზე აღმოჩნდა.

გაიმართა დისკუსია ჯგუფებს შორის. საბოლოოდ მოსწავლეები შეჯერდნენ შემდეგზე:

ნებისმიერ თაობას, სოციალურ კლასს თუ ეთნიკურ ჯგუფს „კაცობის“ შინაარსის განმსაზღვრელი განსხვავებული, სპეციფიკური მოდელი აქვს. კაცი ხარ, თუ სიდინჯე და რაციონალურობა გახასიათებს; კაცი ხარ, თუ მაგარი ხარ და ამას ყველას აჩვენებ; კაცი ხარ, თუ ოჯახზე ზრუნავ; კაცი ხარ, თუ არც ქალს და არც ბავშვს არ აძლევ საშუალებას, თავისუფლება შეგიზღუდოს; კაცი ხარ, თუ კარგად მუშაობ ფოლადის გადამამუშავებელ ქარხანაში; კაცი ხარ, თუ სხვა კაცები ლიმუზინის კარებს გიღებენ და ამით შენს ძალაუფლებას აღიარებენ; კაცი ხარ, თუ მტკიცე გამომეტყველება გაქვს და სუფთად გაქვს წვერი გაპარსული. ეს წარმოდგენები მუდმივად იცვლება. თუნდაც მამაკაცთა მოდა რად ღირს?

ჩამოაყალიბეს გენდერული მიდგომები:

ფორმალური	რა აღიარებს განსხვავებას ეფუძნება გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურ კანონებს, რომელიც ქალებს და კაცებს განიხილავს თანასწორად და მოელის, რომ ქალები ისარგებლებენ შესაძლებლობებით და იმ სტანდარტებით იმოქმედებენ, რომლებიც შექმნილია კაცებისთვის. ქმნის არახელსაყრელ პირობებს, რადგან ქალები და კაცები არ არიან ერთნაირები. მათ ახასიათებთ: განსხვავებულობა; შეუფერებლობა; არახელსაყრელი მდგომარეობა.
პროტექციონისტური	აღიარებს განსხვავებას, მაგრამ ცდილობს რა დაიცვას ქალები ისეთი საქმიანობისაგან, რომელიც ზიანის მომტანად ითვლება, უარყოფს მათ უფლებას, ჰქონდეთ თანაბარი საშუალება და შესაძლებლობები. ამით შეუძლია გრძელვადიანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ ქალებზე.
არსებითი	აღიარებს განსხვავებას, მაგრამ ნერგავს თანასწორობას ქალებსა და კაცებს შორის და აქცენტს აკეთებს შედეგების თანასწორობაზე. ქმნის პირობებს/საგანგებო ზომებს, რათა კორექცია შეიტანოს გარემოში, რომელიც ქალს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. ამას „კორექციული მიდგომა“ ეწოდება. ამყარებს თანაბარ წესებს, ცნობს რა, რომ უთანასწორობა არსებობს, მოითხოვს სხვადასხვა ინიციატივებს (ხშირად მოიხსენიება, როგორც „საგანგებო ზომები“ მაგ.: სამართალი, პოლიტიკა, პროგრამები და მომსახურება). რათა მიღწეულ იქნეს: თანაბარი შესაძლებლობები; თანაბარი ხელმისაწვდომობა; თანაბარი შედეგები და სარგებელი.

თვალსაზრისი

2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოცხადდა

„რუსთაველზე უკეთ სიყვარულისათვის არავის არ უმღერია, არავის არ აუყვანია სიყვარული ისეთ სიმაღლეზე, როგორც რუსთაველმა თავის პოემაში. „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ძმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალია. ყოველგვარი მისტიკისაგან და აღორძინების ეპოქის ძმნილებათა მსგავსად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას. საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე“.

ლუი არაგონი

ამერიკული ბალეტის ფუძემდებელმა, ჯორჯ ბალანჩინმა, „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი კაცის სული უწოდა. ყველა ქართველი განიცდის „ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობას, მაგრამ მარტო გრძნობაც არაფერია, თუ არ წაიკითხე, თუ უშუალოდ არ მიხვედი ნაწარმოებთან, მის სიბრძნესთან. „ვეფხისტყაოსანს“ ისე აღარ ვკითხულობთ, როგორც საჭიროა. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ისედაც კარგად ვიცით, თუ რას წარმოადგენს, ან იქნებ მიზეზი სხვაგან არის საძიებელი? დღეს მთელ მსოფლიოში ასეა, გენიოსების წიგნებს აღარ კითხულობენ, მათ მხოლოდ აქებენ. მაგრამ ჭეშმარიტებაა, რომ ლიტერატურული კლასიკის კითხვის გარეშე ადამიანები სულიერად ღარიბდებიან. ასე რომ, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველების უნიკალური სულიერი სიმდიდრეა. მეტიც, მას გაფრთხილება და შესწავლა უნდა. ვიკითხოთ „ვეფხისტყაოსანი“ ჩავწვდეთ მის სიბრძნეს, გამოვიყენოთ ჩვენი საუნჯე იმისათვის, რომ უფრო მდიდრები ვიყოთ სულიერად, მორალურად და კულტურულად. როცა დავინახავთ, რა სიმაღლეებს სწვდება ამ გენიალური ნაწარმოების ეროვნული და საკაცობრიო იდეალები, მაშინ მივხვდებით, რა ძალა და ენერგია დევს ქართულ სულიერებაში.

შემთხვევითი არ არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ეპოქაში დაიწერა, „ოქროს ხანაში“, როცა საქართველო, თავის ისტორიაში, ყველაზე ვრცელი, ძლიერი და აყვავებული ქვეყანა იყო.

რუსთაველს აღრზდა-განათლება იყალთოს აკადემიაში მიუღია. სწავლა საბერძნეთში გაუგრძელებია. ზედმიწევნით შეუსწავლია: ბერძნული, არაბული და სპარსული ენები, ღვთისმეტყველება, ფილოსოფია და ვარსკვლავთმრიცხველობა.

თამარ მეფეს, ერთ დიდ პოეტურ ტურნირზე, დაუსვამს შეკითხვა: *„რა უფრო ამშვენებს ადამიანს, წარმომავლობა თუ პირადი ღირსება?“* ყველა პოეტს ერთხმად უპასუხია – რა თქმა უნდა, წარმომავლობაო! მხოლოდ რუსთაველს გამოუთქვამს განსხვავებული აზრი:

„ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა“.

თამარს მოსწონებია შოთას პასუხი და ტურნირის ჯილდოც მისთვის გადაუცია.

როგორც ჩანს, თამარი სიმპათიურად იყო განწყობილი რუსთაველის მიმართ, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პოეტს თავდავიწყებით შეყვარებოდა საქართველოს მეფე. ეს კი ძალიან საშიში იყო, სახიფათო, როგორც ცეცხლთან თამაში. შოთამ იცოდა, რომ შეეტყოთ, არ აპატიებდნებ, თვითონვე წერდა: *„სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“.* ჰოდა, მალავდა, რაც შეეძლო, მაგრამ მაინც გაუგეს გულის საიდუმლო, მას ხომ ბევრი მტერი ჰყავდა როგორც დიდ პოეტსა და სხვაგვარად მოაზროვნეს. მეფის სიყვარული კადნიერებად, პოლიტიკურ დანაშაულად ჩაუთვალეს, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა (ფინანსთა მინისტრობა) დაატოვებინეს და სამშობლოდან გააძევეს.

სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი იერუსალიმში წავიდა და ბერად აღიკვეცა. ქართველთა ჯვრის მონასტერში გაატარა მოხუცებულობა და იქვე დაიკრძალა.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე ახლაც არის გამოსახული შოთა რუსთაველის პორტრეტი წარწერით: *„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“.* ცოტა ქვემოთ „რუსთაველი“.

გასაოცარი ამბავია, მაგრამ ასეა – ჩვენამდე არც „ვეფხისტყაოსნის“ დედანს მოუღწევია. იგი ზეპირად, თაობიდან თაობას გადმოეცემოდა. ჩაწერა დაიწყეს მე-15 საუკუნის დასაწყისში.

რუსთაველის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ქართული რენესანსული კულტურის წიაღში, რომელიც ქრისტიანულ იდეოლოგიასთან ერთად, აერთიანებდა იმდროინდელ მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების საუკეთესო მიღწევებს. ის იყო ნეოპლატონური თეორიის მიმდევარი, რომელიც იოანე პეტრიწმა შემოიტანა ქართულ აზროვნებაში.

რუსთაველი კარგად იცნობს როგორც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, ისე ანტიკური ხანის სხვა ფილოსოფოსების ნააზრევს და იზიარებს იმ დროისთვის პროგრესულ შეხედულებებს.

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის აზრით, აღმოსავლური და ქართული რენესანსის მწვერვალია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც საუკეთესოდაა გამოხატული ჰუმანიზმის მსოფლმხედველობა.

„შოთა რუსთაველი თავის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ წარმოგვიდგება, როგორც პირველი სრულიად საკაცობრიო ჰუმანისტი. მისი პოემა მეამბოხე რენესანსის ნაწარმოებია“ – ალექსანდრე კორნეიჩუკი.

„კარგის მქნელი კაცი ბოლოდ არ წახდების“.
„საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“.
„განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დაჰრიდებია“
„რაცა საქმე უსამართლო ვისცა ღმერთმა შეარჩინა“.
„ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“.
„როცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდება“.
„რასაცა გასცემ შენია რაც არა დაკარგულია“.
„არას გარგებს, ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი“.
„განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“.

„რუსთაველი XII საუკუნის უდიდესი წარმომადგენელია, ქრისტიანული საქართველოს წიაღში დაბადებული და აღზრდილი გენიოსი პოეტი, მაგრამ ნამდვილი „მონოთეისტი“. დასტურდება ეს „ვეფხისტყაოსნით“. ისმება კითხვა – რატომ არ ხასენებს იგი „სამპიროვან“ ღმერთს. რა არის ამის მიზეზი? ჩვენმა ძველმა ქრისტიანმა მკვლევრებმა ხომ ამ მიზეზით აღიარეს „ვეფხისტყაოსანი“ ანტიქრისტიანულ თხზულებად, ხოლო მისი ავტორი – ანტიქრისტიანად.

ფილოსოფოსმა მოსე გოგიბერიძემ „ერთ არსება ერთში“ დაუნაწევრებელი ღმერთი დაინახა. მოცემულ კონტექსტში, ცნება „ერთი“ გულისხმობს ერთიანს, მთლიანს, განუყოფელს, დაუნაწევრებელს.

შოთა რუსთაველის ჰუმანისტური პრინციპებით მოაზრებული ღმერთი არის „უფალი“ „უფალი უფლებათა“ – ყველაზე მაღლა მდგომი, ყველაფრის გამგებელი უზენაესი არსება – ერთ არსება, მრავლის შემცველი, მაგრამ ერთიანი (მთლიანი, განუყოფელი), რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებიან როგორც ხილული სამყაროს მცხოვრებნი, ისე ზეციური ძალნი – სააქაო და საიქიო არსებანი. იგი არის „მზიან ჩრდილიანი“ ბოროტის არ დამბადი, მაგრამ ამქვეყნად ბოროტის მომვლინებელი („უბოროტო ვის ასმია, რაცა საქმე საეშმაკო“) იგი არის „ყოფილი, მყოფი, უთქმელი“, „ყურთაგან მოუსმენელი“, ე.ი. არნახული. აქ ყურადღებას იქცევს ღმერთი, „ყოფილი, მყოფი“ ე.ი. ღმერთი უწინდელი, ადრე მყოფი. იგი არის აგრეთვე ახალი, ჯერ უხილავი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი ღმერთი. „ერთარსება“. იგი დანამდვილებით უზენაესი არსებაა, რომელიც ყველაფერს აწესებს, აწესრიგებს სამყაროში, რამდენადაც შექმნა „ყოველი არსი“, „სააქაო და საიქიო“ ცხოვრება. არის ეშმაკის დამგმობი, „მიჯნურობის (სიყვარულის) დამწესებელი“, „უკვდავი“, „ძალა უხილავი“, „სავსება ყოველთა“, „წინამძღვარი“, „კაცთა არ გამწირავი“, „მფარველი“, „ცოდვათა შემამსუბუქებელი“, „მრისხველი“, მაგრამ იქვე „ორგულობის შემნანიებელი“, „ბედის გამგებელი“. მაგრამ ზოგჯერ – „ბედის დამრღვევი“. იგი დანამდვილებით უზენაესი არსებაა, რომელიც ყველაფერს აწესებს, აწესრიგებს სამყაროში, მიწაზეც და ზღვაშიც (*„რაცა ღმერთსა არა სწადდეს არა საქმე არ იქნების“*).

„ვეფხისტყაოსანში“ „ღმერთთან“ ერთად სიტყვა „ერთის“ გამოყენების სხვა შემთხვევებიც გვაქვს და ყველგან იგი ღმერთის მთლიანობაზე, დაუნაწევრებულობაზე, ერთიანობაზე მიუთითებს. ასეა სიტყვა „ერთი“ გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში. მაგალითად, პროლოგის მეორე სტროფში რუსთაველი ამბობს: *„ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“.*

„ვეფხისტყაოსნის ღმერთის ასეთი გაგებიდან გამომდინარე, საინტერესოა 792-ე სტროფი:

„ვინ დამბადა შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალა უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერად,
ვის საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი
ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“.

სტროფის შინააარსი ასეთია: „ვინ დამბადა“ – ღმერთმა, მანვე მომცა მე, და საერთოდ ადამიანს ძალა, უნარი დაამარცხოს მტერი. ეს „ვინ“ არის ღმერთი – „ძალი უხილავი“, რომელიც ზევიდანაა მოვლინებული დედამიწაზე ყოველი მიწიერი არსების შემწედ, მხსნელად; ეს „ვინ“ არის ქვეყნად ზღვრის დამდები, ყველაფრის განმსაზღვრელი, იგი უკვდავია და მარადიული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, შოთა რუსთაველის „ღმერთი“ ქრისტიანულ ქვეყანაშია წარმოშობილი და ჩამოყალიბებული, თუმცა, იგი ქრისტიანობისავე წიაღში უპირისპირდება დოგმად ქცეულ ქრისტიანულ სამებას. ამას რიგითი მკითხველიც მიხვდება, თუ „ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნეს ჩაუკვირდება, შემდეგ კი რუსთაველის მონოთეისტობაშიც (მონოს – ერთი, თეოს – ღმერთი. ერთღმერთიანობა) აღარ დაეჭვდება.

ფრიდონ აბაშიძე
ადიგენის რაიონის სოფელ ჭელის
საჯარო სკოლის
ბიბლიოთეკარი

მეწარმეობის საფუძვლების სწავლებასთან დაკავშირებით

როგორც ვიცით, ხელისუფლების ინიციატივას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლების შესახებ, მრავალმა სკოლამ დადებითად უპასუხა, ხოლო ორგანიზაცა „ჯუნიორ ეჩივმენტის“ მიერ შეიქმნა საპილოტე სახელმძღვანელოები მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის.

აღსანიშნავია, რომ წიგნები მაღალკვალიფიციურ დონეზეა შექმნილი. მოსწავლის წიგნი თანმიმდევრულად მოიცავს სამეწარმეო საქმიანობის ყველა ეტაპს, დაწყებული ფირმის რეგისტრაციით და დაფუძნებით, დამთავრებული მისი ლიკვიდაციით. წიგნი ისეთ მიმართულებებს მოიცავს, როგორებიცაა: მენეჯმენტი, მარკეტინგი, სტრატეგიული მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, ლიდერობა, ადამიანური რესურსების მართვა, საწარმოთა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმები და სხვ. წიგნს თანდართული აქვს ტერმინთა განმარტება, რომელიც ასზე მეტ ლექსიკურ ერთეულს მოიცავს. საგნის სწავლება ეფუძნება მეთოდს „სწავლა კეთებით“. რიგი გამოკვლევებით კი, ეს სწავლების ყველაზე ეფექტური გზაა.

საგნის სწავლებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს – მოსწავლეებს, ვინც აღნიშნული კურსი გაიარა, შესაძლებლობას აძლევს მომავალი ბიზნესს დაუკავშირონ, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

საინტერესოა, რა საჭიროებები გამოიკვეთა საგნის სწავლების, თითქმის, ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში?

1. როდესაც ბიზნეს-გეგმაზე მუშაობა დავასრულეთ, მასწავლებლის, როგორც ეკონომისტის გადმოსახედიდან, ბიზნეს-გეგმა არ იყო კვალიფიციური, ისეთი, რაც დადებითად შეიძლება შეფასებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი მოსწავლეების მიერ იყო შექმნილი. გამოიკვეთა შესაბამისი თეორიული ცოდნის საჭიროება. თუ მოსწავლეებს შევასწავლიდით ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საწარმოთა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმები, სტრატეგიული დაგეგმვის საფეხურები, ორგანიზაციული სტრუქტურის მოდელები, მოტივაციის თეორიები, ბაზრის კვლევის მეთოდები, ბაზრის სეგმენტირება და ყველაზე მიმზიდველი სეგმენტების გამოვლენა, ფასწარმოქმნის ეტაპები, პროდუქტის, პრომოუშენისა და მარკეტინგული არხების არსი და სხვა, ცხადია, ისინი უკეთეს ბიზნეს-გეგმებს მოამზადებდნენ. ამრიგად, **უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა, საგნის სწავლება „სწავლა კეთებით“ მეთოდს რომ ეფუძნება. ამასთან ერთად, თუ მოსწავლეებს თეორიულ ცოდნასაც შევთავაზებთ, რასაც მესამე სახელმძღვანელო უნდა დაეთმოს, შეიძლება ბევრად უკეთესი შედეგი მივიღოთ.**

2. მეწარმეობა მულტიდისციპლინური მეცნიერებაა, თავის თავში მრავალ მეცნიერებას მოიცავს. შესაბამისად, იდეების გენერირება, ბიზნეს-გეგმის შექმნა, სამეწარმეო საქმიანობის წარმატებით წარმართვა მრავალი მეცნიერების შესწავლასა და ცოდნას საჭიროებს. ამიტომ, **სასურველია „მეწარმეობის საფუძვლების“ სწავლებას ორი-სამი წელი დაეთმოს**. აქედან ერთი წელი, შეიძლება, თეორიული საფუძვლების მომზადებას დავუთმოთ, მეორე წელი კი – პრაქტიკულ საქმიანობას (ერთი აკადემიური საათი – თეორიას, ორი კი – პრაქტიკულ აქტივობებს). ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკის განვითარების ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა – ერთ სულზე მშპ სულ რაღაც $3500 შეადგენს და საჭიროა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა, **„მეწარმეობის საფუძვლები“ სავალდებულო საგანი** უნდა იყოს.

წარმოვიდგინოთ: თუ ქვეყანაში შეიქმნება მცირე და საშუალო ბიზნესის სამინისტრო, რომელსაც ექნება სოლიდური ბიუჯეტი, მუნიციპალური ოფისები და მისი ფუნქცია მეწარმეთა აქტიური ხელშეწყობა იქნება, გასცემს შეღავათიან კრედიტებს... მეორე მხრივ, საზოგადოების დიდ ნაწილს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ცოდნა და უნარები ექნება, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ეს მნიშვნელოვანი სტიმული იქნება.

3. სწავლის დროს ჩვენ ორი მინი-კომპანია შევქმენით. თითოეულის საქმიანობის დასაწყებად, საწყისი კაპიტალის სახით, დაახლოებით, 2000 ლარი გვჭირდებოდა, მაგრამ თანხა ვერ მოვიძიეთ. ვფიქრობ, **სასურველია, ქვეყნის მასშტაბით, კონკურსის საფუძველზე, გამოვლინდეს რამდენიმე ათეული, მაგალითად – 50, საუკეთესო ბიზნეს-გეგმა და დაფინანსდეს, გარკვეული ნაწილი კი – ნაწილობრივ მაინც.** სავარაუდოდ, ამ თანხის დიდი ნაწილი უკან დაბრუნდება, ვინაიდან გამარჯვებული ბიზნეს-გეგმები ზარალის ნაკლები რისკის შემცველი იქნება.

დავით ნაჭყებია
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის
დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლის
დირექტორი,
მეწარმეობის საფუძვლების
მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

წარმატებული პროექტი „დესპანი“

საქართველოში, ყოველწლიურად, ათასობით აბიტურიენტი ხდება სტუდენტი.მათ სრულიად უცხო გარემოში უწევთ საკუთარი ადგილის დამკვიდრება, ეს კი განსაკუთრებულ სირთულეს იმ სტუდენტებისთვის წარმოადგენს, რომლებმაც სკოლა რაიონებში დაამთავრეს. მათთვის დამაბნეველია არა მხოლოდ ახალი გარემო, არამედ ის მრავალი ფაქტორი, რომლის პირისპირაც სრულიად გამოუცდელებს უწევთ დადგომა. საუნივერსიტეტო სწავლება იმდენად განსხვავდება სასკოლო სწავლებისაგან, რომ პირველკურსელი სტუდენტები მრავალ სირთულეს აწყდებიან (მაგალითად, საგნების არჩევა, დროის სწორად განაწილება, ტექნიკურ ბაზებში გარკვევა, მასალის მოგროვება, მრავალი ახალი ტერმინი და. ა.შ.). ყოველივე ამაში გარკვევა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, ეს კი უარყოფიდად მოქმედებს მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

ამ პრობლემის რეალურმა არსებობამ განაპირობა ის, რომ ბევრ უნივერსიტეტში, უკვე რამდენიმე წელია, შეიქმნა პროექტი, სახელწოდებით „დესპანი“. დესპანი, ამ შემთხვევაში, არის სტუდენტი, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს უნივერსიტეტსა და სკოლას შორის. პროექტის მიზანს სკოლაში აბიტურიენტებისათვის იმ მრავალი მნიშვნელოვანი წვრილმანის გაცნობა წარმოადგენს, რაც მათ სამომავლოდ გამოადგებათ, დაეხმარებათ უფრო საინტეროსო, მრავალფეროვანი და ხალისიანი გახადონ უნივერსიტეტში ყოფნის წლები. პროექტ „დესპანის“ ფარგლებში, სტუდენტები, რომლებსაც აქთ სურვილი, საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ აბიტურიენტებს, ერთი დღით ბრუნდებიან მშობლიურ სკოლაში და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს იმ სიახლეებსა თუ სირთულეებზე ესაუბრებიან, რომელთა გადაწყვეტაც მოუწევთ უნივერსიტეტში. „დესპანი“ პასუხობს მოსწავლეების მიერ დასმულ ყველა კითხვას, რაც მათ ეხმარებათ სწორად დაგეგმონ საკუთარი მომავალი, იყვნენ წარმატებულები და მაქსიმალურად ჩართული მათი განვითარებისთვის საჭირო ყველა საქმიანობაში.

ვფიქრობ, მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია, რადგან დესპანის საშუალებით მოსწავლეები, უნივერსიტეტის ისტორიასთან ერთად, ეცნობიან: ფაკულტეტებს, თვითმმართველობის საქმიანობას, მიმდინარე პროექტებს, ურთიერთობებს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ძირითად პრაქტიკულ თუ თეორიულ საკითხებს. ყოველივე ეს სტუდენტს ახალ გარემოსთან ადაპტირებას უმარტივებს, მეტად საინტერესოსა და მობილურს ხდის მას ცხოვრებას.

პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტი, რადგან უკვე სამი წელია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, მშობლიურ სკოლაში (საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა) „დესპანის“ სტატუსით ვბრუნდები და მოსწავლეებთან უშუალო და მეგობრულ პრეზენტაცია-ლექციას ვატარებ. სტუდენტურ ცხოვრებაზე საუბარი მოსწავლეებისთვის სახალისო, სტიმულის მიმცემი და ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის საწინდარიცაა. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის საშუალებით, მომავალი სტუდენტები მეტად ინფორმირებულები და მოტივირებულები შედიან უნივერსიტეტებში, რაც უმარტივებთ ყველა იმ ბარიერის გადალახვას, რომლებიც პირადად ჩემთვის, წლების წინ, არც თუ მარტივი გადასაწყვეტი იყო.

თინათინ ბურძენიძე

„ნუ ოდეს დავივიწყებთ დავითსა“

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **დავით ცვარიანი**) დიდი ყურადღება ექცევა არა მარტო სასკოლო განათლებას, არამედ მოსწავლეთა შემეცნებითსა და შემოქმედებით განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტი თუ ჩატარებული ღონისძიება. სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრის სხდომაზე იგეგმება ყველა ღონისძიება, რაც თვეების მიხედვითაა გაწერილი.

8 თებერვალს, ცაგერის საჯარო სკოლის „ხელოვნების დარბაზში“ ჩატარებული ღონისძიება დიდხანს არ დაავიწყდება იქ დამსწრე საზოგადოებას. 8 თებერვალი ხომ საქართველოს განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი მეფის – დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. დავითი, როგორც ამას მემატიანე წერს: *„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმფლობელობით მპყრობელი“...*

„დავითობა“ – დღესასწაული რომ უფრო მიზანმიმართული, საინტერესო და შთამბეჭდავი ყოფილიყო, მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის მასწავლებლებთან, **ნათელა ყურაშვილთან** და **დარეჯან გასვიანთან** ერთად შეიმუშავეს გეგმა. გაინაწილეს დასამუშავებელი საკითხები დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გეგმით გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, ექსკურსია გელათში. გადაწყვიტეს, ერთხელ კიდევ მოენახულებინათ დავით აღმაშენებლის საუფლო ადგილ-სამყოფელი, ერთხელ კიდევ დაედოთ საფლავის ქვაზე ხელი და წარმოეთქვათ დავითის ანდერძი: *„...მოიხსენიეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს. ჰნახევდით გულსმოდგინებით ჰქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყვნევთ კვლა მას დიდებულსა ლავრასა!“*

სამწუხაროდ, გეგმის ეს ნაწილი, დიდთოვლობის გამო, ვერ შესრულდა (გზაფხულზე ჩანაფიქრს აუცილებლად განვახორციელებთ), ამიტომ ღონისძიება სკოლის „ხელოვნების დარბაზში“ ჩატარდა.

ლამაზად გაფორმებულ დარბაზში, საგალობლების ფონზე, მოსწავლეებმა ისტორიული ფაქტების ქრონოლოგიური სიზუსტის დაცვით და მხატვრული გარდასახვით გაგვიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის წარსული, დაკავშირეს დღევანდელობასთან, ზნეობასთან, მორალთან და, რაც მთავარია, ქვეყნის წარსულის მონაწილე გაგვხადეს. მე-5, მე-6, მე-9 და მე-10 კლასელები ერთმანეთს ცვლიდნენ დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსების მხატვრული კითხვით.

ყველაზე სასიამოვნო კი ის იყო, რომ მონაწილეებს კარგად ესმით, საქვეყნო საქმე რომ აკეთო, კარგად უნდა იცოდე სამშობლო-ქვეყნის, ერის ისტორია. ღირსეულ წინაპარს ღირსეული მემკვიდრე უნდა ჰყავდეს, უნდა გაგრძელდეს წინაპართა მარადიული სიცოცხლე, მათი დაწყებული საქმე. საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის უნდა იღვაწო; საქართველოსათვის უნდა დაიხარჯო; არაფერში გაცვალო შენი მიწა-წყალი; მოუარო შენს მამულს – დავით აღმაშენებლის საქართველოს.

ნათელა ყურაშვილი

ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

ინფორმაცია

2016 წელს ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში დაგეგმილი ინიციატივები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დონორებსა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ინკლუზიური პროფესიული განათლების სფეროში 2016 წლისათვის დაგეგმილი სტრატეგიული მიმართულებების გაცნობა.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით, პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა დაიწყო. პროცესი პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პარალელურად ხორციელდება, რათა უზრუნველყოს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისთვის. აღნიშნული ინიციატივით, სამინისტრო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების კონვენციას ეხმიანება და შშმ პირთა კონვენციით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

დონორებთან შეხვედრისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ყველა მნიშვნელოვან ინიციატივაზე, რომელიც ინკლუზიური პროფესიული განათლების სფეროში 2016 წელს იგეგმება. კერძოდ:

– ინკლუზიური პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს პროფესიული სასწავლებლების შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფას, მასწავლებლების კომპეტენციის გაძლიერებასა და ინდივიდუალური სწავლების მეთოდოლოგიის გაძლიერებას;

– ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა სასწავლო პროცესში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს სსსმ პირებს აუცილებელი საგანმანათლებლო ტექნოლოგიური საშუალებებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2016 წელს ასევე იგეგმება აუდიოსახელმძღვანელოების მომზადება, რომელიც მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებს გადაეცემათ;

– მეწარმეობის კომპონენტის განვითარება. სამინისტროსთვის ასევე პრიორიტეტს წარმოადგენს მეწარმეობის საკითხების გააქტიურება, რისთვისაც, სკოლის საფეხურზე მეწარმეობის სწავლების ეფექტური წარმართვისათვის, იგეგმება გზამკვლევის მომზადება, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეწარმეობის საკითხების ინიცირება პრაქტიკული პროექტების დაფინანსების გზით;

– წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისის დანერგვის ხელშეწყობა – სამინისტროს მიერ მნიშვნელოვან კომპონენტად განისაზღვრა სსსმ პირებისათვის წინა პროფესიული უნარების განვითარება, რაც გულისხმობს პრაქტიკულ აქტივობებში ჩართულობით წერა-კითხვის, არითმეტიკის, დროის მართვის და სხვა საჭირო უნარების განვითარებას. მიმდინარე წელს აღნიშნული სერვისის პილოტირება განხორციელდება;

– მხარდაჭერით დასაქმების კომპონენტის განვითარება. უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზით შესაძლებელია შშმ და სსსმ პირთა დასაქმების უზრუნველყოფა. განათლების სამინისტროს ინიციატივითა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ჩართულობით, მიმდინარეობს მოლაპარაკება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შშმ და სსსმ პირთა დასაქმების სხვადასხვა სერვისების შექმნისა და პილოტირების თაობაზე. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია, რომ 2016 წელს 11 ადამიანი ჩაერთვება აღნიშნული სერვისის მიწოდებაში – მხარდაჭერითი დასაქმების 1 კოორდინატორი და მხარდაჭერითი დასაქმების 10 კონსულტანტი.

2016 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება კვლევების განხორციელება ინკლუზიური პროფესიული განათლების მიმართულებით და პროცესის მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა, რომელიც განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტებს წარმოადგენს.

ბებოშვილების დინასტია გრძელდება

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის გოგონებშიც და ბიჭებშიც. ცხადია, ჯერ გოგონები რაოდენობრივად ჩამოუვარდებიან ბიჭებს – ტურნირში 40-მდე გოგონა გამოდიოდა, თუმცა პროგრესი აქაც იგრძნობა: გაიზარდა გეოგრაფია და მონაწილეთა რაოდენობაც. ჩემპიონატში გამოჩნდნენ მონაწილენი ლენტეხიდან და მესტიიდან, ძალიან კარგად იჭიდავეს კლუბ „საგარეჯოს“ წევრებმა. ზოგადად, კახეთი ამ ტურნირში (ბიჭებშიც და გოგოებშიც) დიდი წარმატებით გამოვიდა, თუმცა გარეკახეთის ეს რაიონი მათშიც კი გამორჩეული აღმოჩნდა თავისი შედეგებით, რაშიც ლომის წილი გოგონებმა დაიდეს. თუმცა მათი წარმატება, როგორც თბილისის და აჭარისა, მოსალოდნელიც იყო, მაგრამ სასიამოვნოა, რომ მედალოსანთა შორის გამოჩნდნენ სპორტსმენები ქუთაისიდან, ზესტაფონიდან და წეროვანის დევნილთა დასახლებიდან, სადაც ქალთა ძიუდო სულ უფრო იკრებს ძალებს.

მწვრთნელებმა საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლის უფლება უმცროსი ასაკის რამდენიმე გოგონასაც დართეს – 2002 წელს დაბადებულებს. მწვრთნელებს მათთვის გამოცდილების მიღება სურდათ, თუმცა **სალომე გულისაშვილმა** (40), **მარიამ კოხტაშვილმა** (48) და სხვებმა მოლოდინს გადააჭარბეს – ზოგი ჩემპიონი გახდა, ზოგი კი მედალოსნობას დასჯერდა. ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიდის, თუმცა ამ შეჯიბრებამ მწვრთნელებს დიდი ოპტიმიზმი დაუტოვა და მთავარმა დამრიგებელმა **გია თენაძემ** ისიც კი თქვა, რომ ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე შარშანდელი შედეგის – თითო ოქროსა და ბრინჯაოს გაუმჯობესებასაც კი იმედოვნებენ. არადა, ამ ჩემპიონატში არ გამოდიოდა შარშანდელი სეზონის ორი ტრიუმფატორი – ევროპის მესამე პრიზიორი **მარიამ ჭანტურია** (52) და ევროპული თამაშების გამარჯვებული **ეთერ ლიპარტელიანი** (57) – პირველს წელი აწუხებს და ჯერ კიდევ მკურნალობს, მეორემ კი გლანდების ოპერაცია გაიკეთა.

ამ ჩემპიონატში აღსანიშნავი ის იყო, რომ 57 კილოგრამში გაიმარჯვა **ელენე ბებოშვილმა** - ევროპის შარშანდელი ჩემპიონის, საჭიდაო სახეობებში ქართველი ქალთაგან პირველი მედლის მომპოვებელი **მზია ბებოშვილის** (52) უმცროსმა დამ. თავად მზია უკვე გადავიდა ახალგაზრდებში და ახლა იქაური შეჯიბრებებისთვის ემზადება.

სხვა წონებში ჩემპიონები გახდნენ: ზემოხსენებული საგარეჯოელი გულისაშვილი, მისივე თანარაიონელები – **სალომე ბლიაძე** (44), ევროპული თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი **ნატალია ყიფშიძე** (48), **სალომე მჭედლიშვილი** (70), ბათუმელები – **ნინო მგელაძე** (52) და **ქრისტინე მამულაძე** (63) და თბილისელი **სოფიო სომხიშვილი** (+70).

თაობათა ცვლის პროცესი ბიჭებსაც შეეეხოთ, იქაც ძალიან კარგი თაობა მოდის. თუმცა ამ ტურნირის მშვენებად მაინც შარშანდელი შემადგენლობიდან შემორჩენილი მძიმეწონოსანი **გელა ზაალიშვილი** აღმოჩნდა, რომელიც მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენებზე... დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ: **ლაშა ნადირაძე** (50, გორი), **ამირან დარბაისელი** (55, საგარეჯო), **ლაშა ბექაური** (60, დედოფლისწყარო), **ალეკო მამიაშვილი** (66, გორი), **ბაჩანა სარქისაშვილი** (73, ახმეტა), **პაატა მარტიაშვილი** (81, თბილისი) და **ომარ საური** (90, გორი) .

პირველი მედალი „უფროსებში“

დიდი წარმატებით იჭიდავა სოფიაში ჩატარებულ „ევროპის ღია კონტინენტურ თასზე“ 19 წლის გორელმა ძიუდოისტმა **გიორგი კაციაშვილმა**, რომელმაც 73 კილოგრამში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ წონაში საკადრო პრობლემები ნამდვილად არ გვაქვს – გვყავს ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** და ევროპის ორგზის ვიცეჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი**. ამდენად, აქ არც წარმატებები გვიკვირს და არც ვერცხლია უმაღლესი შედეგი, თუმცა ახალგაზრდა კაციაშვილმა ისეთ მაღალ დონეზე იჭიდავა, ქომაგებს და მომავლებს ძალიან დიდი ოპტიმიზმი დაუტოვა. ფაქტია, რომ ის ქართული ძიუდოს ახალ ვარსკვლავად იზრდება, დანარჩენი კი საწვრთნელი პროცესის სწორად წარმართვაზე და თავად სპორტსმენის გულმოდგინებაზეა დამოკიდებული. თან კაციაშვილისთვის ეს უფროსებში მოპოვებული პირველი მედალია და სასიამოვნოა, რომ ასეთი მაღალი დონის ჭიდაობა აჩვენა.

არადა, მან სოფიაში საკმაოდ ძლიერ ფალავნებს მოუგო – ბელარუსი **ვადიმ შოკა** მასზე ბევრად უფროსიცაა და საკმაოდ გამოცდილიც, თუმცა ჩვენმა ფალავანმა ვაზარით მოუგო. ჰოლანდიელი **სამ ვან ტვესტენდე** ასაკით ბევრად უფროსი არაა და არც ტიტულებით გამოირჩევა, მაგრამ ამ შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებულია და ახლაც პირველ ნომრად იყო განთესილი, კაციაშვილს კი მის დასამარცხებლად სულ რაღაც 21 წამი ეყო – გარეფეხიდან გამოკვრით მოწყვეტით გადააგდო ბეჭებზე. სხვა მეტოქეები არ იყვნენ ამდენად ძლიერები და გორელი ათლეტი მათ იოლად გაუსწორდა. ერთადერთი, მხოლოდ აზერბაიჯანელ **ფაგან გულუზადასთან** გაუჭირდა პირველივე შეხვედრაში, სადაც ვაზარს აგებდა, მაგრამ ბოლო წამზე სასწაულებრივად დააგდო იპონზე. მეორე შეხვედრაში ჩვენთვის საინტერესო მეტოქე დაამარცხა – უკრაინის სახელით მოჭიდავე თანამემამულე **ნიკო საჯაია**, 23-წლიანთა შორის უკრაინის ჩემპიონი. კაციაშვილს მასთან წმინდად არ მოუგია, მაგრამ ძალიან დიდი უპირატესობით დაამარცხა – აუღო ვაზარი, 2 იუკო და თან 3-ჯერ გააფრთხილებინა. უნგრელი **ფრიგეს საბოც** დიდი უპირატესობით დაჯაბნა – ჯერ ვაზარზე დააგდო, მერე – პირდაპირ იპონზე, თუმცა, სამწუხაროდ, ფინალში თვითონ დამარცხდა რუსთა „ამომავალ ვარსკვლავ“ **საიან ონდართან**, რაც გამოუცდელობით მოუვიდა – ვაზარს იგებდა, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნების და ტაქტიკური ჭიდაობის ნაცვლად დაწოლა, შეტევა გაგრძელა, რა დროსაც შეცდა და მეტოქემ იპონზე დაადგდო. შეტევა კარგია და ისიც მისასალმებელია, როცა მეტოქეს ბრძოლაში ჩაგრავ, კიდევ უნდა გაგრძელო ზეწოლა, არ მისცე გონზე მოსვლის საშუალება, მაგრამ, ეტყობა, კაციაშვილმა ნაადრევად ირწმუნა მოგება, სათანადოდ ვერ შეაფასა ონდარი, რომელმაც მანამ **ფრიდონ გიგანიც** დაგვიმარცხა.

დასასრულ, შეგახსენებთ, რომ კაციაშვილი ჭაბუკებშიც და ახალგაზრდებშიც ევროპის მესამე პრიზიორია. ახალგაზრდებში მან ეს ჯილდო შარშან მოიპოვა, მსოფლიოზე კი გუნდურში ვერცხლს დაეუფლა. ამასთან, ევროპის პირველობაზე გუნდურში მესამე იყო, ახალგაზრდებში კიდევ ერთი წელინადი რჩება საჭიდაო, თუმცა მას უკვე სულ უფრო ხშირად ვიხილავთ უფროსთა შეჯიბრებებში.

ხელბურთელებმა ისრაელში იმარჯვეს

საქართველოს 18-წლამდელ ხელბურთელ გოგონათა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ისრაელში, სადაც იქაურმა ფედერაციამ მიიწვია სამი ამხანაგური პაექრობის ჩასატარებლად, ოღონდ, 20-წლამდელებთან სათამაშოდ. ორივე გუნდი თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება, რომელიც მარტში გაიმართება და სპარინგები ჰაერივით სჭირდებათ. ჩვენებმა იქ სამი პაექრობა გამართეს და ორში იმარჯვეს, ერთი კი ფრედ დაასრულეს, ანუ წაუგებლად მოიარეს ისრაელი. პირველი შეხვედრა 32:29 მოიგეს, მეორეში კი ფრედ ითამაშეს – 30:30. მასპინძლებმა თავდაპირველი გეგმები შეცვალეს და მესამე პაექრობაში სხვა მონაწილე გამოიყვანეს – აშდოდის 20-წლიანთა კლუბი, თუმცა, **გიორგი გვაზავას**, უკრაინელი **ალექსანდრ გურსკის**, **ინა ჭკუასელისა** და **ლანა მარგიანის** განვრთნილი ჩვენი ხელბურთელები ვერც ამან შეაჩერა და დასკვნითი პაექრობა 24:26 მოიგეს. როგორც წინა შეხვედრებში, ჩვენგან ამჯერადაც საუკეთესო „ყვარელის“ წევრი **ქეთი კუნელაშვილი** იყო 8 გოლით, ის ჩვენი ნაკრების ბომბარდირი გახდა 31 ბურთით.

ჩვენს ნაკრებს წლეულს სამი მნიშვნელოვანი ტურნირი უწევს. 8-13 მარტს, თბილისის ახალ სპორტის სასახლეში, სრულიად ახალი საერთაშორისო რანგის შეჯიბრება ტარდება – ხელბურთის მსოფლიოს და ევროპული ფედერაციების ერთობლივი თასის გათამაშება, რომელიც განკუთვნილია სახელბურთო თვალსაზრისით განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ახლა იწყება სპორტის ამ სახეობის აღორძინება. შეჯიბრება 1997 წელს და შემდგომ დაბადებულებში ტარდება და 8 ქვეყანა მონაწილეობს: საქართველო, ბელგია, ფარერები, კვიპროსი, ლატვია, მალტა, ალბანეთი და სომხეთი. ამ შეჯიბრების გამარჯვებული გაისად საკონტინენტთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს, რომლის მონაწილენიც რეგიონული კონფედერაციების გამარჯვებულები იქნებიან.

მომდევნო შეჯიბრება უკვე 18-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იქნება, რომელიც 18-20 მარტს ჩერნოგორიაში ჩატარდება, სადაც მასპინძლებს და უკრაინას შევხვდებით ერთადერთი საგზურისთვის საბრძოლველად. ივნისის ბოლოს, შვედურ გიოტებორგში ევროპის ღია პირველობაა, რომელიც, ფაქტობრივად, ევროპის ოფიციალური ჩემპიონატის ტოლფასია, რადგან ის წლეულს არ ტარდება.

იმედია, ჩვენები სამივე ტურნირზე ისეთივე წარმატებით ითამაშებენ, როგორც – ისრაელში.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



კუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი



წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამგზენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 სელმოწერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი, ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა, დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მენინები, დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა, მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი, კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება, რემბრანდტი
8. საძანელა, ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე, ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
ჯონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მუუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

130

2016–2017 სასწავლო წლისათვის აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას საბაკალავრო პროგრამებზე:

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი

❖ არქიტექტურა და დიზაინი (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა), სწავლის საფასური – 1800 ლარი;

❖ დიზაინი (სამოსის დიზაინი), სწავლის საფასური – 1500 ლარი;

❖ აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა), სწავლის საფასური – 1500 ლარი;

❖ საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (თოჯინების თეატრის სამსახიობო), სწავლის საფასური – 1500 ლარი.

მუსიკის ფაკულტეტი

❖ სამუსიკო შემსრულებლობა (აკადემიური სიმღერა; ფორტეპიანო, საორკესტრო), სწავლის საფასური – 1500 ლარი;

❖ სამუსიკო ხელოვნება (მუსიკის თეორია, აკადემიური გუნდის დირიჟორობა), სწავლის საფასური – 1500 ლარი.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

❖ ხელოვნების თეორია და ისტორია (ხელოვნებათმცოდნეობა), სწავლის საფასური – 1500 ლარი;

❖ კულტურული ტურიზმი, სწავლის საფასური – 1800 ლარი;

❖ მასობრივი კომუნიკაცია (ტელე-რადიოჟურნალისტიკა), სწავლის საფასური – 1800 ლარი.

ხელოვნების უნივერსიტეტში, არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით აბიტურიენტი გადის შემდეგ ტურებს:

- *არქიტექტურა და დიზაინის და დიზაინის სპეციალობებზე აბიტურიენტებს ევალებათ შეასრულონ კომისიის მიერ შეთავაზებული ნახატი (რთული ნატურმორტი ფანქარში);*
- *აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციალობაზე აბიტურიენტებს ევალებათ წერა კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე;*
- *საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების სპეციალობაზე (თოჯინების თეატრის სამსახიობო) – სამსახიობო მონაცემების შემოწმება;*
- *მუსიკის ფაკულტეტის შესაბამის სპეციალობებზე შემსვლელი აბიტურიენტები აბარებენ ტურს სავალდებულო პროგრამით და მუსიკის თეორიას.*

❖ აბიტურიენტები, რომლებიც აბარებენ საშემსრულებლო მიმართულებით, პროგრამული დაფინანსების მისაღებად, კონკურსში დაიშვებიან იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებით ტურში/ტურებში მიიღებენ 81 და მეტ ქულას.

❖ აბიტურიენტს, რომელიც მიიღებს სახელმწიფო გრანტს (100%, 70%, 50%) და, იმავდროულად, შემოქმედებითი ტურების შედეგად, მოიპოვებს პროგრამულ დაფინანსებას (ხელოვნების უნივერსიტეტის გრანტი), სახელმწიფო გრანტიდან მიღებული თანხის 50% დაუბრუნდება სტიპენდიის სახით.

❖ აბიტურიენტს, რომელიც ირჩევს ფაკულტეტებს: სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნება ან მუსიკა, უფლება აქვს, ჩააბაროს ნებისმიერი მეოთხე გამოცდა სახელმწიფო გრანტის მისაღებად.

❖ ხელოვნების თეორიისა და ისტორიის (ხელოვნებათმცოდნეობა), კულტურული ტურიზმის და მასობრივი კომუნიკაციის (ტელე-რადიოჟურნალისტიკა) საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტები ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით.

შემოქმედებითი შესარჩევი ტურები ჩატარდება 2016 წლის 16 ივნისიდან 2016 წლის 27 ივნისის ჩათვლით.

აბიტურიენტებმა, რომლებიც შემოქმედებით ტურებს აბარებენ საშემსრულებლო მიმართულებით, ხელოვნების უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) 4 ფოტოსურათი (ზომა 3X4);

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლით;

გ) აბიტურიენტის ერთიანი ეროვნული საგამოცდო სერტიფიკაციო გარათი;

დ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ასლი რჩება ფაკულტეტის მიმღებ კომისიაში. მუსიკის ფაკულტეტზე, გარდა ატესტატისა, სავალდებულოა სპეციალური მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა;

ე) სამხედრო მოწმობას ან სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ საბუთს ვაჟი აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად;

ვ) აბიტურიენტებმა საორგანიზაციო ხარჯებისათვის წარმოდგენილ საბუთებს უნდა დაურთონ შემოქმედებითი ტურის გადახდილი თანხის (20 ლარი) დამადასტურებელი ქვითარი (საბანკო რეკვიზიტები: მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – TRESGE22, სახაზინო კოდი – 708897519).

განცხადებები მიიღება 2016 წლის 1 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართებზე:
ბათუმი, ლ. ასათიანის №37, მე-2 სართული, ოთახი №41.
მუსიკის ფაკულტეტი – დემეტრე თავდადებულის №20.
www.batu.edu.ge; E-mail: info@batu.edu.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ მიმღებ კომისიას:
ტელ: 599137483; 593359658; 271250; 270372

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >